პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 225 (20566) ✦ პარასკევი, 29 სექტემბერი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

სესიის დღიური

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული მუშაობის წესის თანახმად, 27 სექტემბერს დღის წესრიგის საკითხებზე დისკუსია გადაიტანეს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კომიტეტებსა და კომისიებში. მათი უმრავლესობის სხდომებზე იხილავდნენ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს.

საერთაშორისო საქმეთა კომიტეტმა გაანალიზა სსრ კავშირში იმ მორიგებათა რეალიზაციის მიმდინარეობა, რომლებიც მიღწეულია 1986 წელს ვენის შეხვედრაზე ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ, განიხილა მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს იმისათვის, რომ ჰუმანიტარული თანამშრომლობისა და ადამიანის უფლებათა სფეროში საბჭოთა კანონმდებლობა შეუსაბამონ ვენის საბოლოო დოკუმენტს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა კომიტეტმა ქვეყნის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებთან ერთად განიხილა კანონპროექტები ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ. (საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და კომისიებში

კონსტრუქციული ეჭვის სარგებლიანობის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობის მესამე დღემ საპარლამენტო კორესპონდენტებს მკაცრი პირობები წაუყენა: 27 სექტემბერს სესიაზე გაშლილი ცხარე დისკუსია რომ მოეცვათ, ჟურნალისტები ერთდროულად უნდა დასწრებოდნენ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს რამდენიმე კომიტეტისა და კომისიის სხდომას.

მეტად ვრცელი იყო სახალხო დეპუტატთა მიერ განსახილველ საკითხთა სპექტრიც. **კავშირის საბჭოს შრომის, ფასებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხთა კომისიამ** მთელი რიგი საპარლამენტო კომიტეტების მონაწილეობით პრინციპულად უნდა შეეფასებინა მომავალი წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები. მათ ხარისხზე პირდაპირ არის დამოკიდებული სოციალური სფეროს გარდაქმნის ინტენსიურობა.

ამ შეფასების მთელი პასუხისმგებლობის გაგებით, კომისიის თავმჯდომარემ **ნ. ნ. გრიცენკომ** დეპუტატებს მოუწოდა პროექტები განეხილონ მათი ჰუმანურობის თვალსაზრისით. ორივე ამ პროგრამის ცენტრში ხომ უნდა იდგეს ადამიანი თავისი პრობლემებით, საზრუნავით, იმედებით.

მათგან ბევრი პრობლემა გადაუდებელია და მათ გადაწყვეტას ახლავე უნდა შეუდგნენ. გადადება აღარ შეიძლება.

პროექტების კომენტარისათვის მთავრობამ ჩინებული ძალები გამოყო — დეპუტატთა წინაშე მოხსენებები გააკეთეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ს. ა. სიტარიანმა** და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სოციალური განვითარების დაფინანსების განყოფილების უფროსის მოადგილემ **ლ. ა. ლიხენკომ**. მაგრამ მათი ინფორმაციები აუდიტორიის ამომწურავად არ მოეჩვენა. მრავალი კითხვა უძღოდა წინ არანაკლებ ენერგიულ გამოსვლას, რომელთაგან უმრავლესობა შეიცავდა საერთოდ პროექტების ნეგატიურ შეფასებას.

პროექტების ძირითადი ნაკლი, მიაჩნია დეპუტატ **ა. გ. ჟურავლევს**, ის არის, რომ მათ არა აქვთ აქცენტირებული პრიორიტეტები. მისი აზრით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საკავშირო ფინანსთა სამინისტრომ აუცილებლად უნდა შეიტანონ ეკონომიკის სტაბილიზაციის საგანგებო ღონისძიებათა განყოფილებები. უფრო მტკიცედ უნდა ვეძებოთ კრიზისიდან გამოსვლის გზები, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა.

უახლოეს ხანში დიდი სამამულო ომის ინვალიდთა და მის ბრძოლებში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახთა ბინებით უზრუნველყოფის გარანტიები მოითხოვა სახალხო დეპუტატმა **ა. ა. სიდოროვმა**.

შრომის ანაზღაურების ფონდების გაყინვის კურსის, საბიუჯეტო დეფიციტის დროს, მეტი რომ არა ვთქვათ, საოცრად გამოიყურება კომკავშირულ და პარტიულ აპარატებში ხელფასის მომატების ღონისძიებანი, თქვა დეპუტატმა **ვ. ი. სამარინმა**. იგი დარწმუნებულია, რომ ასეთი მიდგომის ლოგიკას მოჰყვება მთელი ზედნაშენი აპარატის შენახვის ხარჯების გაზრდა, რაც ეწინააღმდეგება საგანგებო ანტიინფლაციურ ღონისძიებებს, რომლებიც საზოგადოებას სჭირდება. ამის გათვალისწინებით, ორატორმა შეიტანა, კერძოდ, წინადადება: საშემოსავლო გადასახადი უნდა გახდეს სულობრივი, მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მივაღწიოთ სოციალურ სამართლიანობას სახსრების გადანაწილების დროს.

ქალთა, ოჯახის, დედებისა და ბავშვების დაცვის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. ი. მატვეენკომ** პროექტებისადმი სხვა პრეტენზიებს შორის ეჭვი შეიტანა მატერიალური რესურსების მიხედვით მათ შეწონასწორებაში. საჭიროა, თქვა მან, 1990 წლის გეგმისა და ბიუჯეტის საფუძველი გახდეს ზუსტი, მეცნიერულად დასაბუთებული სოციალური ნორმატივები.

ყოველი ჩვენი ეკონომიკური რეფორმა მთავრდებოდა მარცხით და ადამიანთა ცხოვრების დონის მკვეთრი დაქვეითებით, განაცხადა დეპუტატმა **ვ. ნ. იაროშენკომ.** მოდით, მის სინდისზე იყოს ამ მკაცრი განცხადების სამართლიანობა. მაგრამ აი მისი წინადადება, რომელსაც მოწონებით შეხვდნენ: ქვეყანას ახლანდელ პირობებში სჭირდება ნაწილობრივი დენაციონალიზაცია. სამაგალითოდ დასახელებული იყო ბინების, საბაღე და საავარაკო ნაკვეთების მიყიდვა პირად საკუთრებაში, აქციათა ბაზრის შექმნა.

დისკუსიის მთელმა რიგმა მონაწილემ ნაკლებად რადიკალური ღონისძიებანი როდი წამოაყენეს, რომლებსაც, მათი აზრით, შეუძლიათ გააუმჯობესონ ჩვენი ეკონომიკის მდგომარეობა, მაშასადამე, გაზარდონ ადამიანთა კეთილდღეობა. წამოაყენეს, მაგალითად, იდეა პროექტებში ასახონ ანტიმონოპოლიურ ღონისძიებათა კომპლექსი, გაისმა სიღარიბესთან ბრძოლის საგანგებო პროგრამის შექმნის მოთხოვნა.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს მოუწევთ სერიოზული მომზადება, რათა უპასუხონ ამ წინადადებებს. მაგრამ, როგორც შედეგების შეჯამების დროს თქვა კომისიის თავმჯდომარემ, დიალოგი, მისი კრიტიკული განწყობის მიუხედავად, ერთსულოვანი იყო და კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა: პარლამენტი და მთავრობა ერთად ამუშავებენ ძლიერი სოციალური პოლიტიკის კურსს, საზოგადოების, ქვეყნის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

დიალექტიკური ერთიანობით როგორ შევახამოთ მთელი ჩვენი მრავალეროვანი კავშირისა და ცალ-ცალკე თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესები? ეს პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დადგა, როცა იხილავდნენ ქვეყნის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებს **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხთა და ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე.**

მომავალი წლისათვის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილების სურათი წარმოადგინა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ა. ნ. ტროშინმა.** და მაშინვე ზოგიერთებმა, როგორც იტყვიან, ხელეჩოსავით თავისაკენ იწყეს თლა. რატომ მცირდება 1990 წელს საცხოვრებელი სახლების აგების სახელმწიფო დაბანდებანი რუსეთის ფედერაციაში? რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ნ. პ. მაშიანოვმა**, რომელმაც ამ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ამ ასიგნებათა მეტად მცირე წილი ჩამოიჭრება საერთო ინტერესებისათვის.

დამაჯერებლად ჟღერს საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტიდან მისი კოლეგის მოსაზრებანი: რამდენი გადაუდებელი პრობლემა წამოიჭრა ქვეყნის წინაშე. საიდან ანაზღაურდეს სომხეთსა და ტაჯიკეთში მიწისძვრების, ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის, ეკოლოგიური სიტუაციის გამწვავების შედეგად წარმოშობილი ხარჯები? განა მართალი არ არის ეროვნებათა საბჭოს ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **გ. ნ. აუელბეკოვი**, რომელმაც ეჭვი გამოთქვა, რომ მთავრობის დადგენილება არალის შესახებ ენერგიულად სრულდებოდეს? და შემდეგ გაფიცვები, ჩვენი საერთო ტკივილი მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების გამო, და ყველაფერი უნდა გავაუმჯობესოთ სწრაფად, რესურსების განაწილების დროს ვის მოვუმატოთ და რაზე ვთქვათ უარი? რთული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ეს კვანძი უნდა გახსნან სახალხო დეპუტატებმა, რომლებმაც თავიანთი წინადადება უნდა შეიტანონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

ერთში ყველანი ერთსულოვანი იყვნენ: ქვეყნის სახელმწიფო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტაში ყველაზე დიდი შემწე გახდა გარდაქმნა. ამას კარგად ცხადყოფენ ფაქტები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენებიდან. თუმცა, დეპუტატები კრიტიკულად იყვნენ განწყობილი, მაგრამ იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ ახლა წინანდელზე უფრო ცხადად წარმოჩნდა სოციალური პრიორიტეტები სახელმწიფო დაგეგმვის კონცეფციაში.

ეროვნებათა საბჭოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ვ. ი. ვოლკოვმა** აღძრა საკითხი, თუ როგორ შეიძლება მაქსიმალურად შემცირდეს ხარჯები. აი მხოლოდ ორი მიმართულება ამ გზაზე, მაგრამ ფრიად არსებითი: ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების შეკვეცა და თავდაცვის ხარჯების შემცირება. ამასთან დაკავშირებით რომელიღაც დეპუტატმა შენიშნა, რომ ტყუილად როდი მიაპყრობენ მთელ ყურადღებას მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკურ დამოუკიდებლობას: იქ უნდა იფიქრონ იმაზე, რომ სრულად აამოქმედონ ადგილობრივი რესურსები.

ახალი სახით წარუდგა დღეს თავის ამასწინანდელ კოლეგებს — **უმაღლესი საბჭოს აგრარული საკითხებისა და სურსათის კომიტეტის წევრებს — ვ. ვ. ნიკიტინი.** მან, როგორც ხელმძღვანელმა, რომელიც ამჟამად მთავრობაში მეთაურობს აგროსამრეწველო სექტორს, მოახსენა დამსწრეთ, თუ რა მდგომარეობა და უახლოესი პერსპექტივებია ქვეყნის სოფლის მეურნეობაში. სურათი, რომელიც დახატა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, განსხვავდებოდა იმისაგან, რაც მოუსმენიათ დეპუტატებს პარლამენტის ასეთ სესიებზე. უნდა ითქვას, რომ წინათ არც ასე საგულდაგულოდ გაურჩევიათ გეგმის პროექტი.

საშემოდგომო ფორუმის გახსნამდე დიდი ხნით ადრე დაიწყეს დეპუტატებმა აგროსამრეწველო კომპლექსის თაობაზე მონახაზების გაანალიზება, ახალი მიდგომის ძიებნა თავიანთი მრავალდარგობრივი სექტორის განვითარების პროგრამის შექმნისადმი, რომელიც სახალხო მეურნეობის მესამედს მოიცავს. თითოეულ მათგანს ჰქონდა სოლიდური „საშინაო დავალება", რომლის არსი განისაზღვრებოდა იმით, რომ სახელმწიფო გეგმა, ასე ვთქვათ, რეგიონალური ჭრილით გაეაზრებინათ. სესიის გახსნამდე ერთი კვირით ადრე მოსკოვში კვლავ შეკრებილი კომიტეტის წევრები დროს უქმად არ კარგავდნენ: სამინისტროებისა და უწყებების ექსპერტებთან, სპეციალისტებთან ერთად გულდასმით ამუშავებდნენ იმ მომენტებს, რომლებმაც ყველაზე მწვავე საკითხები წამოჭრეს. საგულისხმოა, რომ ამ ეტაპზე დეპუტატებს კონტაქტები ჰქონდათ არა სამინისტროების უმაღლეს ეშელონებთან, არამედ შემსრულებლებთან, იმათთან, ვინც უშუალოდ მუშაობდა საპროექტო წინადადებებზე. ისინი სათანადოდ მოემზადნენ კომიტეტის სხდომისათვის, რომელზეც მინისტრთა საბჭოსაგან, ვ. ვ. ნიკიტინის გარდა, მოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარე პ. ი. მოსტოვოი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელები, სხვადასხვა სამინისტროს ათეული პირველი პირი.

მომავალი წლის გეგმისა და ბიუჯეტის „თავისი" ნაწილების განხილვის განგრძობა კომიტეტმა დასახა 4 ოქტომბრამდე. მაგრამ უკვე პირველსავე შეხვედრაზე, ალბათ, განისაზღვრა „ცხელი წერტილები". ისინი აღნიშნა პარლამენტის ინვესტიციებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ქვეკომიტეტის ხელმძღვანელმა **ე. ბ. ზუკახოვმა.** მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, პრიორიტეტები მიანიჭოს აგროსამრეწველო კომპლექსს და დამგეგმავმა ორგანოებმა გამონახეს საშუალება მომავალი წლისათვის გამოყონ ინვესტიციები სოფლისათვის ხუთწლედით გათვალისწინებულის დონეზე (აგროსამრეწველო კომპლექსმა, როგორც ერთ-ერთმა დარგმა, მიიღო დამატებითი მილიარდი მანეთი კაპიტალდაბანდებანი), და ამავე დროს მან გამოთქვა მთელი რიგი სერიოზული შენიშვნები. მაგალითად, კაპიტალურ დაბანდებებს მთლიანად ვერ უზრუნველყოფენ დაფინანსების ცენტრალიზებული წყაროები. ყველაზე მწვავედ გააანალიზეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პერსპექტივები. მისი ბევრი პოზიციის გამო უკმაყოფილება გამოთქვეს აგრეთვე კომიტეტის წევრებმა **ვ. ი. შტეპომ, ბ. ი. კრასნოკუტსკიმ** და სხვა დეპუტატებმა. კაცს შეიძლება მოეჩვენოს, რომ აგრარიკოსებს ამოძრავებთ სურვილი, რაც შეიძლება მეტი მიითვისონ სხვის ხარჯზე. უთუოდ მათი პოზიციები განხილულ პროექტებში უფრო ხელსაყრელად გამოიყურება, ვიდრე სხვა დარგების პერსპექტივები. მაგრამ აგროსამრეწველო კომპლექსის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების საკითხი ღიად რჩება. მის გადაწყვეტაზე ხომ პირდაპირ არის დამოკიდებული ქვეყნის სასურსათო მომარაგების უსწრაფესი გაუმჯობესება.

პოლიტიკურმა გადაწყვეტებმა გაუსწრეს ეკონომიკურს — ასეთია ბევრი სახალხო დეპუტატის აზრი, როცა ისინი ახასიათებენ გარდაქმნის დამაბრკოლებელ მიზეზებს. იგი აშკარად შეინიშნებოდა მაშინაც, როცა ქვეყნის 1990 წლის გეგმასა და ბიუჯეტს განიხილავდნენ **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა მუშაობის, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა კომიტეტის წევრები.**

სახალხო დეპუტატის, კრამატორსკის ინდუსტრიული ინსტიტუტის კათედრის გამგის **ვ. ი. კარასევის** აზრით, დაგეგმვის მეთოდიკა და მიდგომა ისეთივეა, როგორც წინათ იყო, ანუ ძირითად ნორმატივებს ზემოდან განსაზღვრავენ. ავიღოთ იგივე უკრაინა, რომელიც აწარმოებს ფოლადს, ქვანახშირს და მრავალ სხვას, პრაქტიკულად ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციას. იგი, რომელიც ასრულებს სახელმწიფო მიწოდებას ყველა ამ პოზიციის მიხედვით, თავის სამომხმარებლო ბაზარს საქონლით ვერ უზრუნველყოფს. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ ქვანახშირი და ფოლადი ყველას სჭირდება — უკრაინა მათ აწარმოებს, — სახალხო მოხმარების საქონელი კი დეფიციტია და რესპუბლიკა მას ვერ იღებს საკმაო რაოდენობით.

ამიტომ უნდა შეიცვალოს დაგეგმვის სქემა და გავითვალისწინოთ თითოეული კონკრეტული ადამიანის მოთხოვნილებანი. შეიძლება შეგვეკამათონ, რომ ჩვენში უკვე დიდი ხანია ხორციელდება ეგრეთ წოდებული „შემხვედრი დაგეგმვა", ანუ გათვალისწინებულია წინადადებანი ადგილებიდან, შრომითი კოლექტივებიდან. მაგრამ სამწუხაროდ, ეს წინადადებანი, უფრო ხშირად მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ასეთი დაგეგმვა ქაღალდზე დარჩება, თუ არ მივცემთ ადგილობრივ საბჭოებს დაგეგმვის რეალურ ფინანსურ წყაროებს.

კომიტეტის საღამოს სხდომაზე განიხილეს კანონპროექტი „სსრ კავშირში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის საერთო საწყისების შესახებ". სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ეს დოკუმენტი არ აკმაყოფილებს სახალხო დეპუტატებს, რადგან, როგორც მათ თქვეს, იგი არ არის დაკავშირებული სხვა უმნიშვნელოვანეს კანონპროექტებთან — საკუთრების, მიწის, სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონპროექტებთან. სახალხო დეპუტატებმა მასში უკვე შეიტანეს ბევრი შესწორება, უწინარეს ყოვლისა კონცეპტუალური ხასიათისა. არსებითად ეს ალტერნატიული ვარიანტია, რომელშიც გათვალისწინებულია მრავალი სურვილი და წინადადება ადგილებიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტმა გააანალიზა, თუ როგორ სრულდება საბჭოთა კავშირში მორიგებანი, რომლებსაც მიაღწიეს 1986 წლის ვენის შეხვედრაზე ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წევრმა სახელმწიფოებმა. ამასთან პარლამენტარებმა და მრავალი უწყებისა და ორგანიზაციის სხდომაზე მოწვეულმა წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს საკითხებს, რომლებიც ეხება ჰუმანიტარული თანამშრომლობისა და ადამიანის უფლებათა სფეროს, გააანალიზეს მუშაობა, რომელიც ხორციელდება იმისათვის, რომ საბჭოთა კანონმდებლობა შეუსაბამონ ვენის საბოლოო დოკუმენტს.

ჰუმანიტარული თანამშრომლობის საკითხი — მთელი მისი მრავალფეროვნებით — შემთხვევით როდია არჩეული პრიორიტეტულ თემად, თქვა კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ა. ს. ძასოხოვმა.** როგორც მან თქვა, ამ სფეროში წინსვლა სასიკეთო წანამძღვარი იქნება ვენის დიალოგის რეალიზაციისა და სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტების რეალიზაციისთვისაც. საერთაშორისო გაერთიანებაში განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევენ ვენის შეხვედრის შედეგებს და ამასთან აღნიშნავენ, რომ ისინი მიღწეულია გადამწყვეტწილად სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნის, მსოფლიო საქმეებში ახალი პოლიტიკური აზროვნების ფილოსოფიის, საერთაშორისო ურთიერთობის გაადამიანურებისათვის ჩვენი ქვეყნის მიერ არჩეული კურსის მეოხებით, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა. ამ მორიგებათა რეალიზაცია მთლიანად შეესაბამება საბჭოთა კავშირის ძირეულ ინტერესებს, შემდგომ დემოკრატიზაციას, სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს.

როგორც ჩანს, წარსულს ბარდება ადამიანის უფლებათა პრობლემის ხსენებაზეც კი მობუზვის ჩვევა, თქვა სხდომაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ა. ლ. ადამიშინმა.** ჰუმანიტარულ-სამართლებრივ სფეროში ჩვენს ქვეყანაში ახლა დიდი პოზიტიური ძვრები მიმდინარეობს. გარდაქმნის პერიოდში ამ თემამ საგარეო პოლიტიკაშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა — ჩვენი სოციალისტური წყობილების ბუნების მოთხოვნათა შესაბამისად. ამავე დროს ამ სფეროში დღემდე არსებობს უამრავი პრობლემა, დეფორმაციის, შეიძლება ითქვას ხელმიუვალობის კვალი, მისი კაპიტალური გაწმენდა სახალხო დეპუტატების, უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და კომისიების, მათ უკან მდგომი საზოგადოებრივი აზრის გარეშე გაცილებით უფრო რთული და ხანგრძლივი საქმე იქნებოდა. ვენის მორიგებათა რეალიზაციაში ჯერჯერობით ჯერ კიდევ გაცილებით ნაკლები გაკეთდა, ვიდრე შემდგომში უნდა გაკეთდეს.

უდიდესი ძვრები მოხდა ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა გარანტიების უზრუნველყოფაში, მაგრამ ეს პროცესი ჭიანურდება, აღნიშნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა **თ. მ. ბურლაცკიმ.** მან გამოთქვა შეშფოთება იმის გამო, რომ ჭიანურდება ვენის დოკუმენტიდან გამომდინარე იმ ვალდებულებათა შესრულების ვადები, რომლებიც მიღებულია ყველაზე მაღალ დონეზე. უნდა დავძლიოთ სტერეოტიპები, წარსულისაგან მემკვიდრეობით დანატოვარი აზროვნების შტამპები, გზა გავუხსნათ ახალ აზროვნებას ამ დარგშიც, თქვა ორატორმა.

სხდომაზე გაისმა მოწოდებანი, დავაჩქაროთ დიდი კანონმდებლობების შემუშავება და მიღება, რომლებიც განამტკიცებენ სახელმწიფოს სამართლებრივ ხასიათს, მათ შორის კანონებისა ბეჭდვითი სიტყვის, სინდისის თავისუფლების, მოქალაქეთა გასვლის შესახებ და სხვები, ვენის მორიგებებს შევუსაბამოთ არსებული კანონების რეალიზაციის პრაქტიკა. უნდა დავხვეწოთ თვით ამ მუშაობის მექანიზმიც, მაქსიმალურად ჩავაბათ მასში საზოგადოებრივი და სამეცნიერო ძალები, უზრუნველვყოთ კანონპროექტთა განხილვის საჯაროობა. (საქდესი).

მ. ს. გორბაჩოვი კიევში ჩავიდა

კიევი, 28 სექტემბერი. (საქდესი). დღეს უკრაინის დედაქალაქში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი. იგი მონაწილეობას მიიღებს უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმში.

აეროპორტში მ. ს. გორბაჩოვს დახვდნენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ს. შევჩენკო, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ა. მასოლი, რესპუბლიკისა და ქალაქის სხვა პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კიევი, 28 სექტემბერი. (საქდესი). დღეს აქ გაიმართა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და პოლიტბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ვ. ვ. შჩერბიცკი პენსიაზე გასვლის შესახებ მის განცხადებასთან დაკავშირებით. ვ. ვ. შჩერბიცკის გამოეცხადა მადლობა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სათავეში მრავალი წლის და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

პლენუმზე უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე კანდიდატურათა საფუძვლიანი განხილვის შემდეგ ფარული კენჭისყრისათვის სიაში შეიყვანეს ს. ი. გურენკოს, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, და ვ. ა. ივაშკოს, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის, კანდიდატურები.

ფარული კენჭისყრით უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ვ. ა. ივაშკო. კენჭისყრის შედეგებში აისახა იმ საოლქო, საქალაქო პარტიული ორგანიზაციების კომუნისტთა აზრიც, სადაც წინადღით აგრეთვე წამოაყენეს და ფართოდ განიხილეს კანდიდატურები.

პლენუმის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი (სიტყვა გამოქვეყნდება).

შეხვედრა მეშახტეებთან

26 სექტემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლ. ა. ვორონინის შეხვედრა დონბასისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებთან და ამ ქვანახშირის აუზის საგაფიცვო კომიტეტების წევრებთან. საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი მ. ი. შჩადოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ბიურო, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, საკავშირო პროფსაბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები.

ინფორმაციისა და აზრთა საფუძვლიანი და გულახდილი გაზიარების დროს მეშახტეთა წარმომადგენლებმა გარკვეული პრეტენზიები წაუყენეს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და მისცეს შეკითხვები, რომლებიც აწუხებთ მაღაროელებს. მ. ი. შჩადოვმა მათ უამბო, თუ რა გაკეთდა და კეთდება კონკრეტულად „საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით მთავრობის კომისიებისა და ქვეყნის ქვანახშირის რეგიონების მშრომელთა საგაფიცვო კომიტეტების მიერ მიღებულ ერთობლივ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 3 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად, აგრეთვე ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულ დებულებათა რეალიზაციისადმი კონტროლის დარგში.

შეიქმნა და მუშაობს სრულ დამოუკიდებლობაზე საწარმოთა გადაყვანის, კუზნეცკის, დონეცკის, ყარაღანდისა და პეჩორის ქვანახშირის აუზების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ წინადადებათა მომზადების, მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვის ნებაყოფლობით საწყისებზე წარმოების მართვის ახალი ფორმების ორგანიზაციის კომისიები.

ამჟამად სრულ დამოუკიდებლობაზე გადაყვანილია დარგის 164 საწარმო.

კემეროვოს საოლქო აღმასკომმა რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით მოამზადა, ექსპერიმენტის წესით, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპზე ოლქის გადაყვანის კონცეფციის პროექტი.

მიღებულია გადაწყვეტილება 1989 წლის IV კვარტალში ქვანახშირის ახალი საანგარიშსწორებო ფასების შემოღების შესახებ.

ქვანახშირის მრეწველობისა და შახტმშენებლობის მუშაკებს, რომლებიც მუდმივად არიან დასაქმებული მიწისქვეშა სამუშაოებზე, დაუწესდათ შახტში ჭაურიდან მუშაობის ადგილამდე მისვლის და უკან დაბრუნების ნორმატიული დროისათვის წანამატები. შემოღებულია საღამოსა და ღამის ცვლაში მუშაობისათვის წანამატები. ამ წანამატებისათვის მთავრობის მიერ ასიგნებულია 1050 მილიონი მანეთი წელიწადზე გაანგარიშებით.

ერთობლივ გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემოღებულია კემეროვოს ოლქში, ქალაქებში ინტასა და ვორკუტაში, დაბა ხალმერში მშრომელთა ხელფასის მომატებული რაიონული კოეფიციენტები. გადაწყდა საკითხები, რომ მომავალი წლის II კვარტალიდან ხელფასის რაიონული კოეფიციენტი მოემატოთ ყარაღანდის ოლქში განლაგებულ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს.

სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტმა და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ მუშაკებს, რომლებიც სამეურნეო წესით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებენ, მიეცეთ ერთდროული ჯილდო ნამსახურობისათვის და სხვა შეღავათები.

ამჟამად მთავრდება იმ საკითხების განხილვა, რომ შეუნარჩუნდეთ სტაჟი ჩრდილოეთის დანამატებისათვის ერთი საწარმოდან მეორეში გადასვლის დროს; ჩრდილოეთის დანამატი დაუწესდეთ მუშაობის პირველი დღიდანვე ამ რაიონებში მცხოვრებ ახალგაზრდობას; ხელფასის ასი პროცენტით აუნაზღაურდეთ საავადმყოფო ფურცლები ვახტთშორის პერიოდში ავადმყოფობის დროს.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და მთავრობას წარედგინა წინადადებანი ხანგრძლივ და უზადო შრომისათვის მეშახტეთა მორალური წახალისების სრულყოფის თაობაზე.

შემუშავებულია პენსიების შესახებ კანონის პროექტი, რომელიც 1989 წლის ოქტომბერში გადაეცემა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, სადაც მისი განხილვა შეტანილია მიმდინარე სესიის დღის წესრიგში.

1 ოქტომბრამდე სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტი და საკავშირო პროფსაბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წარადგენენ კანონს შვებულებების შესახებ.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსთან ერთად განახორციელეს ღონისძიებანი სამრეწველო და სასურსათო საქონლით მეშახტეთა მომარაგების გაუმჯობესებისათვის. 1989 წელს გამოიყო ხორცის პროდუქტები, შაქარი, სავაჭრო მოწყობილობა, მსუბუქი ავტომობილები, სხვა არასასურსათო საქონელი. სსრ კავშირის სახმომარაგება სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მონაწილეობით ეძებს შესაძლებლობებს, რომ უფრო სრულად უზრუნველყოს ქვანახშირის მრეწველობის საწარმოები და მშრომელები მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და უწინარესად — სამშენებლო მასალებით ინდივიდუალური გამშენებლებისა და საცხოვრებელი ფონდის შეკეთებისათვის.

მეშახტეებმა დიდი წუხილი და უკმაყოფილება გამოთქვეს ქვანახშირის გატანის ცუდი ორგანიზაციისა და მაღაროს ბიგით შახტების უზრუნველყოფის გამო. ამასთან დაკავშირებით მთავრობა მისცემს დავალებებს შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. განხილვის პროცესში გამოითქვა სურვილები და მიღებულია გადაწყვეტილება, რომ პრესაში და ტელევიზიით სისტემატურად გამოქვეყნდეს მასალები იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 3 აგვისტოს დადგენილება.

ლ. ა. ვორონინმა თქვა, რომ მთავრობა შეწუხებულია ქვანახშირის, განსაკუთრებით კოქსვადი ქვანახშირის მოპოვებაში არსებული ჩამორჩენის გამო. ეს ხდება ზამთრისათვის მზადების პერიოდში და შეიძლება უსიამოვნო შედეგები მოჰყვეს მთელი სახალხო მეურნეობისათვის. მან გამოთქვა რწმენა, რომ მეშახტეები შეიგნებენ მდგომარეობის მთელ სერიოზულობას და გამოიჩენენ მათთვის ჩვეულ პასუხისმგებლობის გრძნობას. მთავრობა, თავის მხრივ, ყოველ ღონეს ხმარობს მეშახტეთა წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულების შესრულებისათვის. დღეს მთავარია შევინარჩუნოთ გამძლეობა, ვაწარმოოთ კონსტრუქციული დიალოგი წამოჭრილ საკითხებზე და მივიღოთ მათ გამო ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი, უზრუნველვყოთ ქვეყანა სათბობი რესურსების ძირითადი წყაროთი — ქვანახშირით. (საქდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში რადიკალური ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობის საკითხები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა. გაიმართა აზრთა გაზიარება უწყებრივ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში საქმის მდგომარეობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი წვლილის შესახებ.

ხაზგასმით ითქვა, რომ ზოგიერთი დარგობრივი კვლევითი კოლექტივი ფეხს ვერ უწყობს თანამედროვე მეცნიერების განვითარების ტემპს, ნამუშევრების თემატიკა, მათი გაჭიანურებული დანერგვა ვერ უზრუნველყოფს თვისებრივ ძვრებს და საწარმოო პროცესების დაჩქარებას. ჯერ კიდევ სუსტია წარმოებასთან უწყებრივი მეცნიერების კავშირი. ნელა მიმდინარეობს რადიკალური ეკონომიკური რეფორმა. კერძოდ, 32 სამეცნიერო-კვლევითი კოლექტივიდან მეურნეობრიობის ახალ მოდელზე ჯერჯერობით მხოლოდ 19 გადავიდა. მუშაობა აქ მოითხოვს შეუპოვრობას, ინიციატივასა და გერგილიანობას.

ღრმავდება მუშაობა შრომითი კოლექტივების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გასაჯანსაღებლად. აღინიშნა რა დადებითი ძვრები მეცნიერებათა აკადემიის, სახალხო განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანდაცვის სამინისტროებისა და გამსახკომის სისტემებში ამ საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ამა წლის 13 მაისს მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაში, პრეზიდიუმმა არასაკმარისად მიიჩნია ამ მიმართულებით რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს საქმიანობა. დასახულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ზარალიანობისა და არარენტაბელურობის ლიკვიდაცია.

სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე ახალი ეკონომიკური კავშირურთიერთობის მოგვარებას უთუოდ შეუწყობს ხელს დადგენილება სამართლებრივი მუშაობის თვისებრივი გაუმჯობესების, სამინისტროებისა და უწყებების იურიდიული სამსახურების კომპეტენტურობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

განხილულ იქნა თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის ი. ო. ანდრიაძის, აგრეთვე კიროვის რაიაღმასკომის ხელმძღვანელობის ინფორმაცია საქართველოს დედაქალაქში სანიმუშო სანიტარიული წესრიგის დამყარების თაობაზე. აღნიშნეს რა შესაბამისი საქალაქო და რაიონული სამსახურების მიერ ამ მუშაობის გარკვეული გაუმჯობესება, სხდომის მონაწილეებმა ამასთან ერთად ხაზი გაუსვეს, რომ, მთელი მეცადინეობის მიუხედავად, ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას ინერტულად ეკიდება.

საზოგადოებრივი აზრისა და მშრომელთა სოციალური მოთხოვნების გათვალისწინებით პრეზიდიუმმა განიხილა მთავრობის მიერ ქალაქ თბილისის ქალაქმშენებლობის პერსპექტიული განვითარების ერთიანი კონცეფციის შესამუშავებლად გამოცხადებული რესპუბლიკური კონკურსის მიზნები და ამოცანები, კონკურსის მიზანია XXI საუკუნეში რესპუბლიკის დედაქალაქის განვითარების ოპტიმალური თანამედროვე კრიტერიუმების შემუშავება, მრავალი პრობლემის მოხსნა და უძველესი ქალაქის მომავლის განჭვრეტა. ნიშანდობლივია, რომ მისი ინიციატორი რესპუბლიკის სახმშენთან, არქიტექტორთა კავშირთან და თბილისის საქალაქო აღმასკომთან ერთად არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია „თბილისელი".

სოფელ დიღმის მცხოვრებთა სურვილის შესაბამისად შეიქმნა „დიდი დიღმის" საცხოვრებელი მასივის ტერიტორიის შემდგომი ათვისების შემსწავლელი მთავრობის კომისია.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ უმოკლეს ვადებში აღდგეს ის გზები, ხიდები და სხვა ნაგებობები ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის, დუშეთისა და მარტვილის რაიონების სოფლებში, რომლებიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე და ზაფხულში დაანგრია თოვლის დნობამ და წყალდიდობამ.

ოქტომბერ-დეკემბერში სირიაში, იორდანიაში, ეთიოპიაში, კვიპროსზე და იტალიაში მოეწყობა საქართველოს სსრ დღეები. ამ საკითხზე მიღებული დადგენილებები ითვალისწინებენ საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი რესპუბლიკის ხალხის მიღწევების, მისი ხელოვნების, კულტურისა და ისტორიის პროპაგანდის ფართო პროგრამას.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე 1990 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების საკითხი და მთელი რიგი სხვა სახალხო-სამეურნეო და ეკონომიკური პრობლემები. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

როგორც ცნობილია, ამა წლის 30 სექტემბერს უნდა გამართულიყო საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს XII სესია.

იმასთან დაკავშირებით, რომ სესიის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების — საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების; საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონების პროექტების ფართო, საჯარო განხილვა ვერ მოესწრო, აგრეთვე დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა წინადადებების გათვალისწინებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სესია [illegible] იქნეს სხვა დრო[illegible].

სესიის მოწვევის [illegible] გამოქვეყნდება პრესაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის გეგმა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლ. ა. ვორონინის მოხსენება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, თქვა მან, წარმოადგინა თავისი მიდგომით, პროპორციებითა და შემოთავაზებული ღონისძიებებით, მათ შორის საგანგებო ღონისძიებებით პრინციპულად ახალი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი.

მისი შემუშავების საწყისი მონაცემები, უწინარეს ყოვლისა, იყო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ ჩამოყალიბებული მოთხოვნა, რათა გეგმამ დასაბამი მისცეს საბჭოთა ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გარდაქმნით გამოწვეული ახალი კონცეპტუალური მიმართულებების რეალიზაციას.

1990 წელი და მეცამეტე ხუთწლედი უნდა იყოს ყველა მიმართულებით ეკონომიკის მასშტაბური განახლების, სახალხო მეურნეობის შეწონასწორებულ და პროპორციულ ფუნქციონირებაზე გადასვლის პერიოდი, რომელიც უზრუნველყოფს შეუნელებელ გაფართოებულ კვლავწარმოებას ეკონომიკის სოციალური ხელახალი ორიენტაციის მზარდი ტემპის პირობებში. აი, 1990 წლის გეგმის პროექტის ფორმირების გამსხვილებული პრინციპული ამოსავალი მომენტები, რომელიც ამავე დროს უნდა გახდეს ჩვენს ქვეყანაში პარტიისა და სახელმწიფოს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული საწყისი ნაწილი.

1990 წლის გეგმის პროექტზე მუშაობის მეორე უმნიშვნელოვანესი საწყისი მომენტია, რა თქმა უნდა, ის ამოცანა, რომ აქტიურად შევცვალოთ უკეთესობისაკენ ქვეყანაში ამჟამად არსებული ეკონომიკური სიტუაცია. შეეხო რა მას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1990 წლისათვის ვუახლოვდებით ეკონომიკურ ვითარებას, რომელიც გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ერთი წლის წინათ. მიმდინარე წელს ეკონომიკის დინამიზმი თვიდან თვემდე ბევრი უმნიშვნელოვანესი მიმართულების მიხედვით მცირდებოდა, ძლიერდებოდა სოციალური დაძაბულობა, სუსტდებოდა სახალხო მეურნეობის შეწონასწორებულობა. ამ პროცესების ფონზე იზრდებოდა დეფიციტი სამომხმარებლო ბაზარზეც და წარმოებაშიც.

დღეს მიღწეულმა საწარმოთა ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ, როცა არ არის გამართული გლობალური ეკონომიკური ბერკეტები, ისეთები, როგორიცაა ბაზრის კონიუნქტურა, კონკურენცია, საკავშირო და რეგიონალური გადასახადების სისტემა და ა. შ. და როცა მოხსნილია ყოვლისმომცველი დირექტიული საგეგმო დავალებანი, გამოიწვია ჯგუფური ეგოიზმის მძლავრი გაღვივება, რაც იმით გამოიხატა, რომ შეიქმნა მოგების, ამის შედეგად კი რეალური პროდუქტის არაადეკვატური შემოსავლისა და შრომის ანაზღაურების ფასობრივი გაძლიერების პირობები, გაქრა იაფი პროდუქცია, შრომითი კოლექტივების ინტერესები სახელშეკრულებო მიწოდებისა და სახელმწიფო შეკვეთების შესრულებიდან გადაერთო ყოველი თავისი პროდუქციის გამოყენებაზე, როგორც პირდაპირი გაცვლის საშუალებაზე.

კოოპერაციული მოძრაობა, რომელიც უნდა გამხდარიყო საქონლითა და მომსახურებით სამომხმარებლო ბაზრის გაჯერების წყარო, ჯერჯერობით, როგორც ცნობილია, ძირითადად ამუშავებს, ზოგჯერ კი უბრალოდ მეტად ძვირად ყიდის სახელმწიფო ნედლეულს, სულ უფრო მეტად და მეტად ხდება სოციალური დაძაბულობის დამატებითი ფაქტორი. გვაქვს ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში კოოპერატივების მეშვეობით მოხდა ფარული ეკონომიკის ლეგალიზაცია, რომელმაც აგრეთვე ბრუნვაში მოაქცია წინათ ცხრაკლიტულში არსებული ფული.

ეს საქმის ეკონომიკური მხარე. მაგრამ მთელი გარკვეულობით უნდა ითქვას, რომ ამ ორი წლის მანძილზე გაჩნდა ახალი ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც იყო არა მხოლოდ და არა იმდენად ეკონომიკური მეთოდებისა და გადაწყვეტილების დაუხვეწაობის შედეგი, რამდენადაც საზოგადოებაში ვითარების საერთო დესტაბილიზაციის შედეგი. ეროვნებათშორისი და საგაფიცვო კონფლიქტების გამწვავებამ პირდაპირ მოშალა ბევრი სახალხო-სამეურნეო კავშირურთიერთობა, ხელი შეუწყო ბრუნვაში ფულის დამატებით, გაუსაქონლიანებელ მოქცევას.

თუ დავადგებით პრაქტიკულად ყველა, თუმცა, როგორც წესი, სამართლიანი, მაგრამ დღეს ჩვენი ეკონომიკისათვის გაუსაძლისი მოთხოვნების დაკმაყოფილების გზას, თუ არ შევიმუშავებთ ეტაპობრივი გადაწყვეტის საერთო-სახელმწიფო რეალურ პოზიციას, მაშინ უნდა ველოდოთ ბრუნვაში ფულის ახალ კიდევ უფრო ძლიერ მოქცევას, რომელიც უკვე განმტკიცებული აღარ იქნება არავითარი საქონლით, მაშასადამე, გაიზრდება ინფლაცია, დეფიციტი და მათი თანამდევი სოციალური დაძაბულობა, თქვა შემდეგ ორატორმა.

გეგმის მომზადების დროს, ხაზი გაუსვა მან, უწინარეს ყოვლისა დავისახეთ ამოცანა, ჯერ ერთი, დაგვეძლია წარმოქმნილი ნეგატიური ტენდენციები, სტაბილური გაგვეხადა ეკონომიკა, გაგვეძლიერებინა მისი სოციალური მიმართულობა და დაგვეწყო მისი ფინანსური გაჯანსაღების გეგმაზომიერი პროცესი. მეორე, დაგვეკმაყოფილებინა მშრომელთა გადაუდებელი მოთხოვნილებანი, დაგვეწყო საშინაო ბაზრის სტაბილიზაცია. და, ბოლოს, მესამე დიდი ამოცანა, რომელიც გამომდინარეობს 1990 წლის, როგორც შემდგომი ხუთწლედის საბაზო წლის ადგილიდან, ის არის, რომ მიმდინარე პრობლემების მთელი სიმწვავისა და სირთულის მიუხედავად, არ დავივიწყოთ მომავალი. სწორედ 1990 წელმა უნდა მოამზადოს მატერიალურ-ტექნიკური და საკანონმდებლო-ეკონომიკური წანამძღვრები მომდევნო ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განუხრელი განვითარებისათვის.

შეეხო რა სახელმწიფო გეგმის პროექტში დასახული ამ ამოცანების გადაწყვეტის გზებს, მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა სოციალურ პრობლემებზე.

მათგან ყველაზე განმაზოგადებელია ეროვნული შემოსავლით იმ რესურსების თანაფარდობა, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ მიმდინარე მოხმარებისა და არასაწარმოო მშენებლობისათვის და გაფართოებული კვლავწარმოებისა და სხვა სახეობათა დაგროვებათათვის. ეს პროპორცია შემდეგნაირად ყალიბდება: გაფართოებული კვლავწარმოების რესურსების წილი 1990 წელს უნდა შემცირდეს 14 პროცენტამდე 1989 წლის 16,3 პროცენტის ნაცვლად, ესე იგი 2,3 პროცენტული პუნქტით, ხოლო მთლიანად ხუთწლეულში—4,4 პროცენტული პუნქტით. შესაბამისად 1990 წელს 83,7 პროცენტიდან 86 პროცენტამდე იზრდება მიმდინარე მოხმარებისა და არასაწარმოო მშენებლობის წილი.

მოხმარების სასარგებლოდ უდიდესი სტრუქტურული ძვრაა მრეწველობაში „ბ“ ჯგუფისა და „ა“ ჯგუფის პროდუქციის ზრდას შორის თანაფარდობის მკვეთრი შეცვლა. ეს პროცესი უკვე დაიწყო მიმდინარე წელს, როცა მრეწველობაში „ბ“ ჯგუფის პროდუქციის გამოშვების მატება უსწრებს 1,5-ჯერ „ა“ ჯგუფის მატებას. 1990 წელს გათვალისწინებულია „ბ“ ჯგუფის პროდუქციის მატების გასწრება 13-ჯერ. არსებითად ეს არის მრეწველობაში პროპორციათა საგანგებო შეცვლა.

შემდეგი მახასიათებელია საცალო საქონელბრუნვის დაჩქარებული ზრდა, რომელიც 1990 წელს 40 მილიარდი მანეთით უნდა გაიზარდოს. გასულ ხუთწლედში საქონელბრუნვის ასეთი ზრდა მიღწეული იყო თითქმის 4 წლის განმავლობაში. ახლა კი დასახულია ამოცანა იგი უზრუნველვყოთ ერთ წელიწადში.

ასევე უპირატესი ტემპით უნდა განვითარდეს ფასიანი მომსახურების სფერო. ამ მომსახურების რეალიზაციის მოცულობა გათვალისწინებულია 11,1 პროცენტის ოდენობით, რაც ერთიორად უფრო მეტია, ვიდრე მთლიანი ეროვნული პროდუქტის მატება.

გეგმის სოციალური მიმართულების გაძლიერებას მოწმობს ის ფაქტი, რომ ბიუჯეტის დანახარჯები ცხოვრების დონის ამაღლების ცენტრალიზებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის 1990 წელს გათვალისწინებულია 3-3,5-ჯერ ოდენობით, რაც აღემატება წარსული წლების ანალოგიურ დანახარჯებს.

გეგმის სოციალური მიმართულობა უზრუნველყოფილია შესაბამისი საინვესტიციო პოლიტიკით. არასაწარმოო სფეროში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე, 1990 წელს შეადგენს 58,4 მილიარდ მანეთს, ანუ სახალხო მეურნეობაში საერთო საინვესტიციო რესურსების 28,9 პროცენტს ხუთწლიანი გეგმის 23,6 პროცენტის ნაცვლად, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წილი კი ხუთწლედის 39,9 პროცენტიდან 48,7 პროცენტამდე წლის გეგმის მიხედვით.

ეკონომიკის ხელახალ სოციალურ ორიენტაციას სავსებით ექვემდებარება მრეწველობის თავდაცვითი დარგების კონვერსიის პროცესი. თავდაცვითი დარგების მიერ სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის გამოშვება თითქმის 35 პროცენტით გაიზრდება და 40 მილიარდ მანეთს მიაღწევს.

არსებითად ხელახლა იქნება ორიენტირებული საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა არსებული სავალუტო რესურსების ფარგლებში უპირატესად სახალხო მოხმარების საქონლისა და მისი დამზადებისათვის საჭირო ნედლეულის, სამკურნალწამლო პრეპარატების იმპორტის სასარგებლოდ.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო სოციალური განვითარების ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებს. მან განაცხადა, რომ გეგმის პროექტში გათვალისწინებულია სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებანი საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური მომსახურების საკითხებზე. ამ გადაწყვეტილებათა ძიება რთულ პირობებში მიმდინარეობდა. ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების იმ ცენტრალიზებულ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც ხუთწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული და წარსული წლებიდან გადმოვიდა, ხომ მოითხოვდა უკვე საბიუჯეტო ასიგნებებს 2 მილიარდ მანეთზე მეტი ოდენობით, ხოლო შემუშავებული დამატებითი ღონისძიებების გათვალისწინებით ეს ასიგნებანი თითქმის 10 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა. დღეს შექმნილ ეკონომიკურ სიტუაციაში ეს უაღრესად ძნელი ამოცანაა და მისი პრაქტიკულად გადაწყვეტა უშუალოდ უკავშირდება სახალხო მეურნეობის მუშაობის ნორმალიზაციას და მის შემდგომ განვითარებას.

მთავრობას მხედველობაში აქვს განახორციელოს აგრეთვე დამატებითი ღონისძიებანი ყოფილი ინტერნაციონალისტი მეომრების მატერიალური უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტისას სახსრების გამოყენებისათვის, აგრეთვე უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში პენსიათა კოეფიციენტების შემოღებისათვის. ამას გარდა, მეურნეობრიობის ახალ პირობებში დიდი სოციალური ღონისძიებანი განხორციელდება საწარმოთა მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე. მათ შორის— დამთავრდება მუშაობა სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშა-მოსამსახურეთა განაკვეთებისა და სარგოების გადიდებისათვის, შემოღებული იქნება თევზის მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების დამატებითი შეღავათები, და ზოგიერთი სხვა რამ.

საშინაო სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობას. გათვალისწინებულია 1990 წელს გაიზარდოს ქვეყანაში სურსათის საერთო მოცულობის წარმოება 156 მილიარდ მანეთამდე საცალო ფასებით 1988 წლის 137,8 მილიარდ მანეთთან შედარებით, ანუ გაიზრდება 18 მილიარდი მანეთით. რა თქმა უნდა, ეს დიდი მატებაა, რადგან განვლილი სამი წლის მანძილზე (1986-1988 წლები) კვების პროდუქტების გამოშვება გაიზარდა 17 მილიარდი მანეთით.

რაც შეეხება მთავრობას, იგი ყოველ ღონეს ხმარობს აგროსამრეწველო წარმოების დაჩქარებული განვითარებისათვის. მაგრამ ცხოვრება გვიჩვენებს, რომ მარტო მატერიალურ და ფინანსურ რესურსების კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის ხარჯზე, რომლებიც აკლდება სხვა დარგების საარსებო საჭიროებებს, სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოების მდგომარეობის რადიკალურად შეცვლა ვერ მოხერხდება. ეკონომიკის აგრარულ სექტორში შექმნილი პოტენციალი მრავალი წელია ეფექტიანად არ გამოიყენება.

რეალური იმედი უნდა დავამყაროთ, თქვა მომხსენებელმა, აგრარულ სექტორში ეკონომიკური ურთიერთობების გარდაქმნაზე, საკუთრების მფლობელობის, გამოყენების და განკარგვის მრავალფეროვან ფორმებსა და მიწაზე მეურნეობრიობის სახეობებზე. რაც შეეხება სასურსათო რესურსების გადიდებისა და ამ რესურსებით რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის ახალი ეკონომიკური პირობების პრაქტიკულ გამოყენებას, ამ ამოცანას ისახავს მიზნად საერთო სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა.

ხალხისათვის საქონლის წარმოებისა და მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის თემის დამთავრებისას მომხსენებელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ ამ საქმეში მკვეთრად იზრდება მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების როლი. მათს გამგებლობაში გადადის სსრ კავშირის ყოფილი მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სახაგრომრეწვის, მთელი რიგი სხვა სამინისტროების საწარმოები. რესპუბლიკური მრეწველობის წილად მოვა მთლიანად ქვეყანაში საქონლის წარმოების საერთო მოცულობის 70-მდე პროცენტი.

1990 წლის გეგმის პროექტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალური ბაზის განმტკიცება და განვითარება, ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში. აქ უთუოდ მთავარ პრობლემად რჩება საბინაო მშენებლობა. საერთოდ მეთორმეტე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე საბინაო მშენებლობის კარგ ზრდას ვაღწევთ. 1990 წლისათვის დასახულია აშენდეს 144 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

საცხოვრებელი ფართობის საერთო ამოქმედება მთლიანად ხუთწლედში 660 მილიონ კვადრატულ მეტრს გადააჭარბებს და დაახლოებით 110 მილიონი კვადრატული მეტრით აღემატება განვლილ ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაცემულს. საბინაო პირობებს გაიუმჯობესებს 60 მილიონამდე კაცი 1981-1985 წლებში 50 მილიონთან შედარებით.

შეშფოთებას იწვევს სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობის გეგმების შესრულების მდგომარეობა. ხუთწლედის სამ წელიწადში დამტკიცებულ გეგმებთან შედარებით არ ამოქმედებულა 510,8 ათასი ადგილი. 1990 წლისათვის დასახულია დავალებანი, რომ ამოქმედდეს სკოლამდელთა დაწესებულებანი 932 ათასი ბავშვისათვის, რაც ადრე მიღებული გადაწყვეტილებებით დადგენილ დავალებაზე 47 ათასი ადგილით ნაკლებია. ასეთ დაწესებულებათა მთლიანად აუმოქმედებლობას ძირითადად მოკავშირე რესპუბლიკები უშვებენ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიუროს მონაწილეობით ორი თვის ვადაში შეიმუშაონ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის განვითარების პროგრამა იმ ამოცანის გათვალისწინებით, რომ სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილებანი ასეთ დაწესებულებებზე თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ამოქმედება შეადგენს 1,7 მილიონ მოსწავლის ადგილს. დიდი ღონისძიებანი ხორციელდება მოწყობილობით სკოლების აღჭურვისათვის.

გათვალისწინებულია ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება და განმტკიცება. საავადმყოფოების, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური, თანამედროვე დიაგნოსტიკური ცენტრების, სხვა სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობისა და მოწყობილობით აღჭურვისათვის გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდებანი 4,1 მილიარდი მანეთის მოცულობით ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 2,8 მილიარდ მანეთთან შედარებით. საერთოდ 1986-1990 წლებში მოსალოდნელია საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ამოქმედების ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს საარსებოდ აუცილებელი სამკურნალწამლო საშუალებებისა და სამედიცინო ტექნიკის ნაკლებობა. სამამულო წარმოების მიწოდებათა გარდა, გამონახულია 2,3 მილიარდი მანეთით და მეტად სავალუტო ასიგნებათა გადიდების შესაძლებლობა. მაგრამ სამკურნალწამლო საშუალებებითა და სამედიცინო ტექნიკის ნაწარმით სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და მოსახლეობის სრული უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრა გეგმაში ვერ მოხერხდა.

აღინიშნა, რომ 1990 წლის გეგმის პროექტში გათვალისწინებულია კულტურის დარგების კინემატოგრაფიის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, პრესის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება და განმტკიცება. 1990 წლის გეგმის პროექტის შემუშავებისას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამუშაოთა გაფართოებას. 1990 წლის გეგმის პროექტში გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით დასახულზე რამდენადმე მეტი წიგნების გამოშვება.

პროექტის სოციალურ განყოფილებათა განზოგადებულ დახასიათებას იძლევა ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც არის მოსახლეობის რეალური შემოსავლის მატება, რომელიც გათვალისწინებულია 5,8 პროცენტის ოდენობით 1989 წელს მოსალოდნელი 4,5 პროცენტთან შედარებით. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებისა — შესაბამისად 8 და 6,6 პროცენტით, საცალო საქონელბრუნვისა 10,1 და 7,8 პროცენტით. ამრიგად, გეგმის მთავარი მაჩვენებლები, რომლებიც ზოგადად ასახავს დასახულ ღონისძიებებს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე მიმდინარე წელს, რაც საბოლოო ანგარიშით ეკონომიკის სოციალური ხელახალი ორიენტაციის კრიტერიუმია.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო 1990 წლის გეგმაში ეკონომიკის გაჯანსაღების საგანგებო ღონისძიებებს. სსრ კავშირის მთავრობა, განაცხადა მან, ღრმად არის დარწმუნებული, რომ სწორედ 1990 წელს უნდა გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯი ეკონომიკის ფინანსური გაჯანსაღების საგანგებო ღონისძიებათა განხორციელებაში, აგრეთვე შინაგანი სამომხმარებლო ბაზრისა და საგარეო-ეკონომიკური ბალანსების ნორმალიზაციის პროცესების დასაწყისში.

ეკონომიკის ფინანსური გაჯანსაღების პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალური იყო გეგმაზე მუშაობისას. მის გადაწყვეტას ექვემდებარება შემდეგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი.

საფინანსო რესურსების ერთ-ერთი მთავარი წყაროა მოგება. ახლა, როგორც მოგეხსენებათ, ეს მაჩვენებელი, ისევე როგორც, სხვათა შორის, მრავალი სხვაც, დირექტიულად არ იგეგმება და მას თვით საწარმოები აწესებენ. ამავე დროს გეგმის შემუშავებისა და მისი ფინანსური შეწონასწორების დროს განსაკუთრებით გულმოდგინედ უნდა განგვესაზღვრა მოგების შესაძლო ზრდა საწარმოში არსებული რეზერვების შესაბამისად. გათვალისწინებულია აგრეთვე 1990 წელს მოგების გადასახადის შემოსულობათა არსებითი ზრდა 121,9 მილიარდი მანეთის თანხით მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული 105,9 მილიარდი მანეთის ნაცვლად.

ფინანსური გაჯანსაღების მეორე საგანგებო ღონისძიება გახდა ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების არსებითი შემცირება. ეს პროცესი უკვე წლეულს დაიწყო. 1990 წელს იგი გაძლიერდება. ამის შედეგად გათვალისწინებულია სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების დასაფინანსებლად გამოიყოს 23,4 მილიარდი მანეთით ნაკლები საბიუჯეტო ასიგნებანი, ვიდრე მიმდინარე წელს.

გათვალისწინებულია თავდაცვის ხარჯები შემცირდეს 12 მილიარდი მანეთით და მეტად ხუთწლიან გეგმასთან შედარებით და 6,4 მილიარდი მანეთით მიმდინარე წელთან შედარებით. ეს მთავარი ძვრებია სახელმწიფოს საფინანსო ბალანსში. მთლიანად მრავალი ათწლეულის მანძილზე პირველად მოვახერხეთ გაგვეთვალისწინებინა სახელმწიფოს შემოსავლის უპირატესი ზრდა ხარჯების მომატებასთან შედარებით. განხილულ იქნა გეგმის ასპექტები, რომლებიც საგარეო ვაჭრობას ეხება.

გეგმის საპროექტო მონახაზების საგანგებო ხასიათი, აღინიშნა შემდეგ მოხსენებაში, განსაკუთრებით თვალნათლივია 1990 წლის საინვესტიციო პოლიტიკაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გასულ სესიაზე გაისმა მტკიცე მოთხოვნები უსაფუძვლო ან არაპირველი რიგის საწარმოო მშენებლობის შემცირების შესახებ. ამას მოითხოვდა ეკონომიკის ფინანსური გაჯანსაღება და მისი ხელახალი სოციალური ორიენტაცია. აღნიშნული კაპიტალური დაბანდებანი ხუთწლიანი გეგმის განგარიშებებზე 27,2 მილიარდი მანეთით ნაკლები და 1989 წლის გეგმაზე 18,1 მილიარდი მანეთით, ანუ 24,8 პროცენტით ნაკლებია განსაზღვრული. ასეთი შემცირების შედეგად საწარმოო მშენებლობისათვის დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე [illegible] მილიარდი მანეთი.

შემდეგ მოხსენებაში მოცემულია მატერიალური წარმოების დარგების განვითარებისა და გეგმაში მიღებულ საგანგებო ღონისძიებათა ზოგიერთი შედეგის დაძლევის დაწვრილებითი ანალიზი. მომხსენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო ეკოლოგიური გაჯანსაღების ამოცანებს.

მოხსენების კარი მიეძღვნა მოკავშირე რესპუბლიკების განვითარების გეგმებს. აღინიშნა, რომ ახლა მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვაში ხორციელდება უწინდელისაგან სრულიად განსხვავებული მიდგომები. რესპუბლიკების მიხედვით საერთო-სახელმწიფო გეგმა შეიცავს უაღრესად შეზღუდულ მაჩვენებლებსა და დავალებებს, ხოლო რესპუბლიკების მიხედვით, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე გადადიან, — მხოლოდ საერთო-რესპუბლიკურ ფონდში მიწოდებებსა და რესპუბლიკათშორის ნაკადებს. მთლიანად ტერიტორიების მიხედვით მთელი გეგმის შემუშავება, უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური ტერიტორიული პროპორციების ჩამოყალიბება — ეს ახლა თვით მოკავშირე რესპუბლიკების პრეროგატივაა. თავიანთ გეგმებს დაამტკიცებენ მათი უმაღლესი საბჭოები.

ამავე დროს თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკა ისტორიულად ინტეგრირებულია ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. ეს ობიექტური ფაქტია. მას ვერსად ვერ წაუხვალ. არის მრავალი პრობლემა, რომლებიც, ეკონომიკური პოზიციებიდანაც და მორალური პოზიციებიდანაც ყველა რესპუბლიკამ ერთად უნდა გადაწყვიტოს.

განიხილა რა ეკონომიკური რეფორმის გაღრმავებასთან დაკავშირებული პრობლემები, მომხსენებელმა თქვა, რომ გეგმის ბედი მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ახალი სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირებაზე. 1990 წელი გადამწყვეტი უნდა იყოს ქვეყანაში პრინციპულად ახალი ეკონომიკური ურთიერთობებისაკენ ჩვენს წინსვლაში.

გარკვეული მარაგნაკეთი უკვე არის. დასამტკიცებლად მომზადებულია კანონების დიდი პაკეტი, რომლებიც განსაზღვრავენ მომავალი ეკონომიკური ურთიერთობების ფუნდამენტურ საფუძვლებს. 1990 წლის გეგმის სტრუქტურაში სავსებით არის გათვალისწინებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გასულ სესიაზე საწარმოს შესახებ კანონის შესწორებები. ინერგება მოკავშირე რესპუბლიკათა თვითდაფინანსებისა და თვითმმართველობის მექანიზმი.

დასასრულ მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი გეგმა შეიძლება შესრულდეს და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა რეალურად შეიძლება ნორმალიზებული იქნეს მხოლოდ მტკიცე დისციპლინისა და ორგანიზებულობის პირობებში. ახლა შეიმჩნევა მშრომელთა უმაღლესი საზოგადოებრივი აქტიურობა, გარდაქმნის მთელი საქმის წარმატება ის არის, რომ ეს საზოგადოებრივი აქტიურობა მიზნად ისახავდეს წარმოების ეფექტიანობის ზრდას, უწინარეს ყოვლისა ადამიანთა მატერიალური მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად რესურსების შექმნას.

---

* მოხსენება იბეჭდება შემოკლებით.

სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1988 წლის ბიუჯეტის შესრულება

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. ს. პავლოვის მოხსენება

მთავრობა, თქვა მომხსენებელმა, ახალ ბიუჯეტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მასში ჩამოყალიბებული ფინანსური პროგრამა მიზნად ისახავს გადამჭრელ შემობრუნებას ეკონომიკის გაჯანსაღებისაკენ, რომელიც ახლა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია, ფინანსების კრიზისული მდგომარეობის დაძლევას. იგი შეიცავს რადიკალურ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს, რათა უკვე უახლოეს წლებში მოისპოს ბიუჯეტის დეფიციტი და მყარი ფინანსური საფუძველი შეექმნას ქვეყნის სამომავლო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ამოცანათა რეალიზაციას.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი სისტემის დემონტაჟის კვალობაზე ქვეყნის გეგმა მართვის ერთ-ერთი მთავარი საშუალება ხდება და, ბუნებრივია, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ყველა სირთულე, ყველა პრობლემა თავის დაღს ასვამს ბიუჯეტს, კონცენტრირდება მასში. ამიტომ 1990 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას უწინარეს ყოვლისა ვითვალისწინებდით ეკონომიკის, ფინანსებისა და ფულადი მიმოქცევის მდგომარეობას, მათი ნორმალიზაციის ამოცანებს.

ჩვენ პრაქტიკულად უკვე დავიწყეთ ამ მიმართულებით მოქმედება. დიდი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყანაში ფინანსურ-ეკონომიკური სიტუაციის დაძაბულობის შესანელებლად. სსრ კავშირის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ფინანსების გაჯანსაღება სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში, გაუმჯობესდება მთლიანად ბიუჯეტის მდგომარეობა. მისი დეფიციტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ 29 მილიარდ მანეთზე მეტად შემცირდება და 92 მილიარდ მანეთს შეადგენს.

ფინანსური გაჯანსაღებისაკენ წინსვლის დაწყებული პროცესი ძლიერდება, მაგრამ მას ჯერჯერობით არ მოჰყოლია და ესოდენ მოკლე ვადაში ვერც მოჰყვებოდა თვისებრივი ცვლილებები. რეალობა ისეთია, რომ იძულებული ვიყავით მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი შეგვემუშავებინა ფინანსების ყველა რგოლის — სახელმწიფო, დარგობრივი, რეგიონალური რგოლების სერიოზული დეფორმაციის პირობებში, თქვა მომხსენებელმა.

საშინაო სახელმწიფო ვალი მიმდინარე წლის დამლევისათვის 400 მილიარდ მანეთს მიაღწევს. კვლავ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია ფულის მიმოქცევა. ემისია 18 მილიარდ მანეთს შეადგენს, ანუ 1,5-ჯერ მეტს, ვიდრე შარშან. მას თან სდევს მანეთის მსყიდველობითი უნარის კლება, სულ უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების დეფიციტის გადიდება. ამან განსაზღვრა ბიუჯეტის დაპროექტებათა მიზანდასახულობა. მასში შემოთავაზებულია თანამიმდევრულად განხორციელდეს მისი სოციალური ორიენტაციის გაძლიერებისა და პოზიტიური ცვლილებებისათვის სტაბილური ხასიათის მინიჭების გზა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავისებურებებს, მან ჩამოაყალიბა ახალი მიდგომები ფინანსური პოლიტიკისადმი, დაასაბუთა ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პრინციპული პოზიციები.

სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ჩამოყალიბებულია შემოსავლის მიხედვით 428,2 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც 54,2 მილიარდი მანეთით აღემატება მიმდინარე წლისათვის დამტკიცებულ თანხას. გასავალი განსაზღვრულია 488,2 მილიარდი მანეთის, ანუ წლევანდელი წლისთვის დამტკიცებულზე 6,6 მილიარდი მანეთით ნაკლები ოდენობით. როგორც ვხედავთ, აშკარაა შემოსავლის მატების დიდი გასწრება, სისესხო ფონდის გაუთვალისწინებლად და ხარჯების შემცირების პირობებში, რაც უკვე ოც წელიწადზე მეტი ხანია არ ყოფილა. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა დავგეგმა ბიუჯეტის დეფიციტის ერთიორად შემცირება 1989 წლისათვის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, რასაც პრინციპული ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

უნდა აღინიშნოს სახელმწიფო ბიუჯეტის გაყოფა მიმდინარე ბიუჯეტად და განვითარების ბიუჯეტად. მიმდინარე ბიუჯეტში თავმოყრილია მთელი ხარჯები, რომლებიც მოქმედი ნორმებიდან და სოციალური უზრუნველყოფის არსებული დონიდან გამომდინარეობენ. მისი შეწონასწორება მთლიანად მოხერხდა მოსახლეობის ფულადი დაგროვებისა და შემოსულობების მატების ხარჯზე, რომლებიც ბიუჯეტში აკუმულირდება.

განვითარების ბიუჯეტში გაერთიანებულია ხარჯები, რომლებიც უკავშირდება გაფართოებული კვლავწარმოების მოთხოვნილებებს, ახალი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების ცენტრალიზებულ ფინანსირებას. განვითარების ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილების ანალიზი საშუალებას გვაძლევს უფრო აწონდაწონილად და ფრთხილად მივუდგეთ ჩვენი სახელმწიფოს ახალ დამატებით ხარჯებს. აქ თანამიმდევრულად უნდა ხორციელდებოდეს პრინციპი: დავაფინანსოთ ხარჯები მხოლოდ საკუთარი თუ ნასესხები ფაქტობრივად მიღებული შემოსავლიანი წყაროების ფარგლებში.

ბიუჯეტის შემდეგი თავისებურებაა რესურსების გამოყენება უწინარეს ყოვლისა სოციალური სფეროს აღმავლობისა და გადაუდებელი სოციალური პროგრამების დაფინანსებისათვის. ასეთი მიზანდასახულობა შესაძლებლობას მოგვცემს მოხმარებისა და არასაწარმოო მშენებლობისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავლის რესურსების წილი გავადიდოთ მიმდინარე წლის 83,7 პროცენტიდან 86 პროცენტამდე.

და ბოლოს, შემოთავაზებულია, რომ დავიწყოთ მატერიალური წარმოების სფეროში საბიუჯეტო დაბანდებების მკვეთრი შემცირება, რათა სრულად გამოვიყენოთ საწარმოებისა და რეგიონების მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე დაფინანსებაზე ამ შემოსავლის გადაყვანის შესაძლებლობები. ამგვარად, დიდი ნაბიჯი იდგმება რეფორმის შემდგომი გაღრმავების გზაზე.

ბიუჯეტმა ასახა მოკავშირე რესპუბლიკების როლის გაძლიერება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, აქ ჩამოყალიბებულია ახალი მიდგომები მათი ფინანსური ბაზის ფორმირებისადმი, რომლებიც უკავშირდებიან ტერიტორიული თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპის დანერგვას.

განიხილა რა შემდეგ ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის განმტკიცების ამოცანათა კომპლექსი, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ფინანსების გაჯანსაღებაში უპირველესი მნიშვნელობის საქმედ უნდა იქცეს მატერიალურ წარმოებასთან მათი განუყრელი კავშირის აღდგენა, მანეთის რეალური შინაარსის გადიდება. ამ მიზანს ემსახურება გეგმასა და ბიუჯეტში დასახული დიდი სახალხო-სამეურნეო დისპროპორციების გამოსწორების ღონისძიებები, დისპროპორციებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით შეუწყნარებელია მოსახლეობის მოთხოვნილებისა და მისთვის მიწოდების შეუწონასწორებლობა. პროექტში შემოთავაზებულია დეფიციტის შემცირებისა და მანეთის განმტკიცების ამოცანის გადაწყვეტა შეუთავსდეს მეურნეობრიობის ეფექტიანობის გადიდების სტიმულების გაძლიერებას:

სამისოდ დასახულია სახალხო მეურნეობაში ფინანსური ურთიერთობის ახლებურად აგება. საწარმოო და ფინანსური პროგრამის განსაზღვრაში საწარმოთა უფლებების გაფართოებასთან დაკავშირებით ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის ფორმირება მკაფიოდ გამოხატულ პროგნოზულ ხასიათს იძენს. ამიტომ შემოსავლის მობილიზაციაში ყურადღება მახვილდება არა ბრძანებაზე, არამედ ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების სისტემის უფრო სრულ გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს ცენტრალიზებულ მოთხოვნილებათა ორგანულ შეხამებას სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობის ინტერესებთან.

ვითვალისწინებთ რა საწარმოებისათვის დატოვებული მოგების საგრძნობ გადიდებას, ჩვენ ამას ვუკავშირებთ ფინანსური შეღავათების გაფართოებას, რომლებიც მათ დააინტერესებენ ფულადი დაგროვების ზრდით, სახელმწიფო შეკვეთის შესრულებით, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებით. ვფიქრობთ, რომ ასეთი სისტემა უკეთ შეესაბამება ბიუჯეტის ინტერესებსაც და კოლექტივების ინტერესებსაც. რა თქმა უნდა, სრულ უკუგებას მივიღებთ მომდევნო წლებში. მაგრამ ბაზას ახლა უნდა ჩავუყაროთ საფუძველი, თქვა მომხსენებელმა.

მოგება, რომლის საგეგმო მაჩვენებლებს საწარმოები დამოუკიდებლად აყალიბებენ, შრომითი კოლექტივების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავარი წყარო ხდება. მრეწველობაში მოგების დაგეგმილი მატების 50 პროცენტზე მეტი მიღებული უნდა იყოს ხარჯების შემცირების გზით.

შემდეგ მოხსენებაში დაწვრილებით იყო განხილული ამ მუშაობის მთავარი მიმართულებანი.

აღინიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში სულ უფრო შესამჩნევი ხდება კოოპერაციული მოძრაობა. 1990 წელს კოოპერატივების მიერ საქონლის წარმოებისა და მომსახურების მოცულობა 30 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს. კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადი გათვალისწინებულია ბიუჯეტში 1,5 მილიარდი მანეთის ოდენობით.

1990 წელს სახელმწიფო გადასახადების ხაზით ბიუჯეტში შემოვა 43,5 მილიარდი მანეთი, ანუ 7,2 მილიარდ მანეთზე მეტი, ვიდრე დამტკიცებულია ამ წლისათვის. ამ შემოსულობათა ხვედრითი წილი საბიუჯეტო რესურსების საერთო თანხაში შეადგენს 10,2 პროცენტს. ეს დაკავშირებულია შრომის ანაზღაურების ფონდების არსებითს ზრდასთან, რომელიც, სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს არცთუ იშვიათად უმართავ ხასიათს იძენს და მნიშვნელოვნად უსწრებს საქონლისა და მომსახურების სახით მატერიალურ სიკეთეთა წარმოების მატებას.

საბეჭდი დაზგის მუშაობა უნდა შეაკავოს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ყველა ინსტრუმენტის გონივრულმა გამოყენებამ, მათ შორის არის საგადასახადო მეთოდებიც. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა სესიაზე მიღებული იყო სსრ კავშირის კანონი საწარმოებში შრომის ანაზღაურების მატების დაბეგვრის შესახებ. 1990 წლისათვის ამ გადასახადის შემოსულობანი გათვალისწინებულია 3 მილიარდი მანეთის თანხით. ეს, რა თქმა უნდა, დროებითი ღონისძიებაა, რომელიც ფულად მიმოქცევაში საგანგებო მდგომარეობამ გამოიწვია. იგი საჭიროა სამომხმარებლო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე საზოგადოებრივი წარმოების ხელახალი სტრუქტურული ორიენტაციის პერიოდისათვის.

ამასთან ერთად, მთავრობამ განსახილველად წარმოადგინა ერთიანი საგადასახადო სისტემის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა პირადი შემოსავლის პროგრესული საშემოსავლო გადასახადის შემოღებას. გვთავაზობენ შემოვიღოთ დაბეგვრის პროგრესია დაწყებული თვეში 70 მანეთზე მეტი ხელფასით. ამავე დროს თვეში სულ ცოტა 20 მანეთამდე იზრდება დაუბეგრავი მინიმუმი და შემოღებულია 100 მანეთამდე ხელფასის შეღავათიანი დაბეგვრა. ეს შეეხება 9 მილიონზე მეტ კაცს, ხოლო საშემოსავლო გადასახადის საერთო შემოსულობანი რამდენადმე შემცირდება კიდეც.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, აღინიშნა მან, კონტროლი ფასებისადმი. არ უნდა დავუშვათ, როგორც ეს არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე ახლა, რომ საქონელბრუნვის შევსების ღონისძიებანი იცვლებოდეს საქონლისა და მომსახურების ფასების მომატებით.

ფულის მიმოქცევის მოწესრიგების საგანგებო ღონისძიებათა მოქმედების პერიოდში უარი უნდა ვთქვათ პროდუქციისა და საქონლის სახელშეკრულებო ფასებზე, რომლებზეც დაწესებულია სახელმწიფო ფასები.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს საბიუჯეტო ხარჯების სოციალური მიმართულება.

ყველაზე სწრაფი ტემპით იზრდება ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. ისინი გაიზრდება თითქმის 17 მილიარდი მანეთით, ანუ 11,8 პროცენტით მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით. ეს ორჯერ და მეტად აღემატება მთლიანი ეროვნული პროდუქტის მატების ტემპს. სახალხო განათლების, ჯანმრთელობის განვითარებისათვის, სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის ბიუჯეტიდან გამოიყოფა 21 მილიარდი მანეთი.

ბიუჯეტის პროექტში სავსებით არის გათვალისწინებული კონკრეტული დავალებანი მთავრობისადმი, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მისცა პენსიების მინიმალური ოდენობის ზრდის, მათი რაიონული კოეფიციენტების დადგენის, ინტერნაციონალისტი მეომრებისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებისათვის, ფრონტზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ცოლებისა და მშობლებისათვის დამატებითი შეღავათების მინიჭების საკითხებზე. ამ მიზნით გათვალისწინებულია 7,0 მილიარდი მანეთი. სულ ცხოვრების დონის ამაღლების ახალ ღონისძიებათა განხორციელებისათვის გამოიყოფა 9,8 მილიარდი მანეთი მიმდინარე წლის 4,2 მილიარდ მანეთთან შედარებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესაბამისად, საპენსიო პროგრამის პირველი ეტაპის განხორციელება სავსებით იქნება უზრუნველყოფილი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ტარიფების ზრდისა და საწარმოთა და ორგანიზაციათა მმართველობის აპარატის მუშაკების შრომითი რესურსების საფასურის გადიდების ხარჯზე,1990 წლის დამლევისათვის პენსიონერთა რიცხვი 60 მილიონზე მეტს შეადგენს. პენსიის საშუალო ოდენობა იზრდება 15 პროცენტით, მათ შორის კოლმეურნეებისათვის — 43,0 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეებისათვის — 11,2 პროცენტით.

საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური და, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის გამოიყოფა 26,2 მილიარდი მანეთი, ანუ ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი ინვესტიციების ნახევარი. 1990 წელს ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე აშენდება ყოველი მესამე ბინა, ამოქმედდება 515-ათასადგილიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები. გაიზრდება საავადმყოფოებში საწოლების რიცხვი, საბავშვო დაწესებულებებში ადგილების რაოდენობა, გაფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. საბავშვო დაწესებულებებისათვის გამოთავისუფლებული ეგრეთ წოდებული „სასტუმრო“ სახლებისა, და აგარაკების გადაცემასთან დაკავშირებით დამატებით განლაგდება 12 ათასზე მეტი ბავშვი, რისთვისაც გამოიყოფა 6,5 მილიონი მანეთი.

ბიუჯეტის ხელახალ სოციალურ ორიენტაციაში მთავარი ადგილი უჭირავს აგროსამრეწველო კომპლექსის ცენტრალიზებული დაფინანსების ზრდას. 1990 წლისათვის გათვალისწინებულია გამოიყოს 116,5 მილიარდი მანეთი, რაც მიმდინარე წლის გეგმაზე 8 მილიარდი მანეთით და ხუთწლიანი გეგმის საპროექტო მონახაზზე 10,4 მილიარდი მანეთით მეტია. ეს დამატებითს დაძაბულობას ქმნის ქვეყნის ბიუჯეტსა და ფინანსებში, მაგრამ ეს ხარჯები უნდა გავწიოთ სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის დაჩქარებისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გარდაქმნა ხალხის კეთილდღეობის ყველა ასპექტს მოიცავს.

საბჭოთა სახელმწიფოს რეალისტური კონსტრუქციული საგარეო პოლიტიკა, აღინიშნულია მოხსენებაში, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიო სარბიელზე საქმიანი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ფართო განვითარებას, საშუალებას მოგვცემს შევიმსუბუქოთ სამხედრო ბიუჯეტის ტვირთი. 1990 წლისათვის იგი მცირდება 70,9 მილიარდი მანეთით, რაც უზრუნველყოფს სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე 1991 წელს სამხედრო ხარჯების 14 პროცენტით შემცირების შესახებ გამოთქმული წინადადებების შესრულებას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის შემცირება, აგრეთვე სახსრების უფრო რაციონალური და ეკონომიკური ხარჯვა საბრძოლო ტექნიკის ექსპლოატაციისა და რემონტის დროს საშუალებას გვაძლევს არმიისა და ფლოტის შენახვის ხარჯები 20,2 მილიარდი მანეთიდან 19,0 მილიარდ მანეთამდე შევამციროთ.

ბიუჯეტის პროექტით გამოყოფილია აგრეთვე დაახლოებით 500 მილიონი ასიგნებანი დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესასრულებლად.

შემდეგ მოხსენებაში დაწვრილებით იყო განხილული საფინანსო პოლიტიკის გარდაქმნის რეგიონალური ასპექტები. აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ბიუჯეტის პროექტი შეიცავს დემოკრატიზაციის გზით საბიუჯეტო პროცესის გარდაქმნის, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტაში საბიუჯეტო სისტემის როლის გაძლიერების პროგრამას. საგანგებოდ გაესვა ხაზი საკავშირო ბიუჯეტის როლს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის დაახლოებაში.

აღინიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტით შემოთავაზებულია გადავდგათ მთელი რიგი დიდი ნაბიჯები მანეთის განმტკიცებისა და სახელმწიფო ხარჯების ხელახალი სოციალური ორიენტაციის გზაზე. შემოთავაზებული საპროექტო მონახაზები მნიშვნელოვანწილად საგანგებო ხასიათისაა და მთელ რიგ რეგიონებსა და მთლიანად ქვეყანაში რთული და გამწვავებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარეობს. ამიტომ ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულებისათვის მთელ მუშაობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. 1990 წელს არსებითად უნდა წავიწიოთ წინ დასახული გზით, შევქმნათ მტკიცე მარაგნაკეთი შემდეგი ხუთწლედის დამდეგს ფინანსების სრული გაჯანსაღებისათვის. ჩვენ, თქვა მომხსენებელმა, მოგველის ძნელი გზა და არცთუ იოლი, აწონილ-დაწონილი და პასუხსაგები გადაწყვეტანი.

(საქდესი).

---

* მოხსენება იბეჭდება შემოკლებით.

სახალხო ძალაუფლების განმტკიცების ნიშნით

● შენიშვნა ● მოსაზრება ● დამატება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა, ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონების პროექტები. დღევანდელ პუბლიკაციებში მკითხველი გაეცნობა განსხვავებულ მოსაზრებებს და შეხედულებებს, რაც სავსებით ბუნებრივად გვესახება გარდაქმნის გაღრმავებისა და პლურალიზმის პირობებში და, ვფიქრობთ, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს პროექტების დახვეწას, ყველაზე მიზანშეწონილი და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას.

საქართველოს უზენაესი საბჭო

გთავაზობთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის თენგიზ ბუაჩიძის მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოუდგენია მას რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

1.

საქართველოს უზენაესი საბჭო წარმოადგენს რესპუბლიკის ერთადერთ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, რომლის ხელშია აბსოლუტური და განუყოფელი ძალაუფლება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

2.

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ დანიშნული საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (პრემიერ-მინისტრის) წარდგინებით საქართველოს უზენაესი საბჭო ამტკიცებს (პერსონალურად) საქართველოს მთავრობას, რომლის სტრუქტურა განსაზღვრულია საქართველოს ახალი კონსტიტუციით და რომელიც პასუხისმგებელია და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს უზენაესი საბჭოს წინაშე.

3.

საქართველოს მინისტრთა საბჭო აღმასრულებელი ორგანოა, რომლის (აგრეთვე მისი ცალკეული უწყებების) ბრძანებებისა, განკარგულებებისა და ინსტრუქციების საქართველოს კონსტიტუციისადმი და უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონებისადმი თუ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტის) მიერ გამოცემული ბრძანებულებებისადმი შესატყვისობას საჭიროების შემთხვევაში არკვევს და ადგენს უზენაესი საბჭოს მიერ პრეზიდენტის წარდგინებით დამტკიცებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

4.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავმჯდომარისა და 10 მსაჯულის შემადგენლობით მტკიცდება ათი წლის ვადით იმ პირობით, რომ მისი შემადგენლობის ნახევარი (თავმჯდომარის გარდა) განახლდება ყოველი 5 წლის შემდეგ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დამოუკიდებელი ორგანოა, რომლის დადგენილებები უკამათოდ სრულდება ყველა სახელმწიფოებრივი უწყებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს ამტკიცებს საქართველოს უზენაესი საბჭო ხმების არანაკლები ორი მესამედის უმრავლესობით.

5.

აღმასრულებელი ორგანოების არც ერთი წევრი (გარდა პრემიერ-მინისტრისა), საკონსტიტუციო სასამართლოს, უმაღლესი სასამართლოს წევრები, რესპუბლიკის პროკურორი და მისი მოადგილეები, რესპუბლიკის არბიტრი და არბიტრაჟის წევრები არ შეიძლება არჩეულ იქნან უზენაესი საბჭოს წევრებად. არჩევის შემთხვევაში ისინი უარს ამბობენ თავიანთ თანამდებობებზე, ხოლო უზენაესი საბჭოს წევრის აღმასრულებელ თანამდებობაზე დანიშვნისას, იგი უარს ამბობს უზენაესი საბჭოს წევრის რწმუნებებზე.

6.

საქართველოს უზენაესი საბჭო შედგება ორი თანასწორუფლებიანი პალატისაგან — სახალხო საკრებულოსა და სენატისაგან.

სახალხო საკრებულოს დეპუტატებს ირჩევენ შემდეგი შეფარდებით: ერთი დეპუტატი 25.000 ამომრჩეველზე, სულ 200 დეპუტატი.

საქართველოს სენატს ირჩევენ შემდეგი შეფარდებით: ერთი სენატორი 50.000 ამომრჩეველზე, სულ 100 სენატორი.

შენიშვნა: ამომრჩეველთა რიცხვი აქ პირობითია, პრინციპი — ერთ სენატორს ირჩევს ორჯერ მეტი ამომრჩეველი, ვიდრე ერთ დეპუტატს — დაცული უნდა იქნას.

სენატი ჩაფიქრებულია, როგორც საქართველოსათვის ტრადიციული უხუცესთა კრებული.

სახალხო საკრებულოსა და სენატის გაერთიანებული სხდომა ქმნის საქართველოს უზენაეს საბჭოს, რომელიც ირჩევს თავმჯდომარეს (პრეზიდენტი) და მის ორ მოადგილეს — ერთ დეპუტატსა და ერთ სენატორს.

უზენაესი საბჭო ქმნის პრეზიდიუმს პრეზიდენტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, პრეზიდენტის ორი მოადგილის, პალატების თავმჯდომარეთა ორ-ორი მოადგილის, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეების და ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის — სულ 11 კაცის შემადგენლობით.

7.

სახალხო საკრებულოს წევრ-დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის არანაკლებ 21 წელი შეუსრულდა.

საქართველოს სენატორად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის არანაკლებ 50 წელი შეუსრულდა.

სახალხო საკრებულო ირჩევს პალატის თავმჯდომარეს და მის ორ მოადგილეს.

ასევე სენატი — სენატის თავმჯდომარეს და მის ორ მოადგილეს.

პალატების თავმჯდომარეები ავტომატურად ხდებიან უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად და პრეზიდიუმის წევრებად, ხოლო მათი მოადგილეები — პრეზიდიუმის წევრებად.

8.

სახალხო საკრებულო იხილავს ძირითადად რესპუბლიკის შიგნით აღძრულ ყველა სახის პრობლემას (სახალხო მეურნეობა, მეცნიერება, კულტურა, განათლება, ეროვნებათა ურთიერთობა, დარაიონება, ეკოლოგია, დემოგრაფია და სხვ.) და აყალიბებს სათანადო კომისიებს კანონპროექტების მოსამზადებლად.

სენატი იხილავს ძირითადად საგარეო საკითხებს (რესპუბლიკათაშორისო ურთიერთობანი, საერთო-საკავშირო საკითხები, ეკონომიკური, კულტურული და საკონსულო ურთიერთობანი საზღვარგარეთის ქვეყნებთან და სხვ). და აყალიბებს სათანადო კომისიებს კანონპროექტების მოსამზადებლად.

9.

სახალხო საკრებულოში შემუშავებული კანონპროექტი გადაეცემა სენატს, თუ სენატი მას მოიწონებს, კანონპროექტი კანონად მტკიცდება უზენაეს საბჭოში, თუ არ მოიწონებს, კანონპროექტი შენიშვნებითურთ უბრუნდება სახალხო საკრებულოს. ეს პროცედურა მეორდება ორჯერ. სენატის მიერ მეორეჯერ უარყოფის შემთხვევაში კანონპროექტს იხილავს უზენაესი საბჭო და გამოაქვს საბოლოო ვერდიქტი.

იგივე პროცედურაა, როცა კანონპროექტს შეიმუშავებს სენატი, იგი გადაეცემა სახალხო საკრებულოს და ა. შ. როგორც ზემოთაა მითითებული.

ყველა კანონს საბოლოოდ იღებს მხოლოდ უზენაესი საბჭო აუცილებელი ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

შენიშვნა: საერთო კენჭისყრის დროს ორივე პალატა თანასწორდება: სენატორის ხმა ორ ხმად ითვლება, რადგან ორჯერ მეტი ამომრჩევლის მიერაა არჩეული, ვიდრე დეპუტატი.

10.

საქართველოს სახალხო საკრებულოს დეპუტატსაც და საქართველოს სენატორსაც ენიჭებათ აბსოლუტურად ერთნაირი სტატუსი (უფლებები-მოვალეობანი-პრივილეგიები), რასაც განიხილავს და კანონით დააწესებს საქართველოს უზენაესი საბჭო.

ასევე ერთნაირია საქართველოს უზენაესი საბჭოს ყველა წევრის სამკერდე ნიშანი, მაგრამ მოწმობა განსხვავდება ფერით: დეპუტატისა — მუქი ყავისფერია, სენატორისა — მუქი ლურჯი.

• • •

ყველა სხვა მხრივ ვეთანხმები საარჩევნო კანონისა და საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების წარმოდგენილ პროექტებს.

იმ იურისტებს, რომლებიც გაიზიარებენ ზემო წარმოდგენილ მოსაზრებებს თუ პროექტების შესწორებებს, ვთხოვ დახმარებას, რათა იურიდიულად სწორად ჩამოყალიბდეს ყველა ჩემი მოსაზრება თუ დებულება.

წინასწარ გმადლობთ დახმარებისათვის.

თენგიზ ბუაჩიძე,
სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი

ნამდვილ დემოკრატიულ საწყისებზე...

სახალხო განხილვის მიზნით გამოქვეყნებული პროექტი კანონისა — „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებათა და დამატებათა შესახებ“ დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის, ხალხის თვითმმართველობისა და საარჩევნო სისტემის შემდგომი სრულყოფის გზაზე.

ამის მიუხედავად, პროექტის ნაკლი ის არის, რომ იგი ხშირად რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე თითქმის ზუსტად იმეორებს სახალხო დეპუტატთა, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და სასამართლო ორგანოების არჩევნებისათვის საკავშირო კანონმდებლობით დადგენილ წესებს.

საკავშირო კანონებისადმი მოკრძალება და ანგარიშის გაწევა ფრიად მისასალმებელია, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი დგას იმის შესახებ, სრულად გამოვიყენებთ თუ არა საკანონმდებლო საქმიანობაში „ძლიერი ცენტრის მიერ“ რესპუბლიკისათვის მინიჭებული კანონების ზოგადი პრინციპების დახვეწის, სრულყოფისა და მისი მოქმედების არის გაფართოების შესაძლებლობანი.

საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების (სახელმწიფოს მეთაურის ჩათვლით) მხოლოდ ნამდვილ, დემოკრატიულ საწყისებზე არჩევა ერთადერთი გზაა სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად. თვითნებობა მაშინ იწყება, როდესაც ყველა ეს პრინციპი ფორმალურად არსებობს და ყველაფერი მაინც ერთეულ პირთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

არჩევის უფლება ალტერნატივასთან არის წილნაყარი და მისი უცილობელი წანამძღვარია ათასგვარი შესაძლებლობიდან სულ ცოტა ორი შესაძლებლობის აუცილებელი არსებობა. ყველა სხვა შემთხვევაში რაიმე რეალურ არჩევაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

უთუოდ არასრულყოფილი არჩევნების წესთან გვქონდა საქმე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს. დღეისათვის ყველა ეს საკითხი მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია პროექტის 93-ე, 94-ე და 95-ე მუხლებით: სახალხო დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია, სახალხო დეპუტატებს მოქალაქეები პირდაპირ ირჩევენ და სხვა.

ამ მხრივ დემოკრატიის სრულყოფილებამდე ერთი ნაბიჯიღა გვრჩება, რომელიც გაბედულად უნდა გადავდგათ.

96-ე მუხლი სხვა საკითხებთან ერთად აწესებს, რომ „საარჩევნო ბიულეტენებში შეიძლება შეტანილი იყოს კანდიდატთა ნებისმიერი რიცხვი. არჩევნები იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ ნებისმიერ დეპუტატობის კანდიდატთა ამ უსაზღვროდ კეთილშობილურ აბსტრაქტულ რიცხვს აუცილებელ მინიმუმსაც დავუწესებთ და ვიტყვით: „საარჩევნო ბიულეტენებში შეიძლება შეტანილი იყოს კანდიდატთა ნებისმიერი რიცხვი, მაგრამ არა ნაკლებ ორი კანდიდატისა“. საარჩევნო ბიულეტენებში შესატან კანდიდატთა მინიმუმის დაწესება რეალობად აქცევს არჩევნებში ალტერნატივის არსებობის აუცილებლობის მოთხოვნას.

პროექტის 114-ე მუხლით განსაზღვრულია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სტატუსი, სადაც, სხვათა შორის, მითითებულია: საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირია და წარმოადგენს საქართველოს სსრ რესპუბლიკას ქვეყნის შიგნით და მის გარეთ.

ასეთ პირობებში, სახელმწიფოს უზენაეს თანამდებობის პირად, ადამიანი უნდა ხდებოდეს არა როგორც ამას 114-ე მუხლი აწესებს, — უზენაესი საბჭოს მიერ არჩევის შედეგად, — არამედ პირდაპირი არჩევნების გზით, როდესაც სახელმწიფოს ხელმძღვანელს უშუალოდ ამ სახელმწიფოს მოქალაქეები ირჩევენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით 114-ე მუხლის შესაბამისი ნაწილი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „...საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები პირდაპირია, რომელსაც უშუალოდ ირჩევენ საქართველოს სსრ მოქალაქეები ფარული კენჭისყრით, ხუთი წლის ვადით და არა უმეტეს ორი ვადით ზედიზედ“.

ასეთი გზით ხელისუფლების სათავეში მყოფი ადამიანი თავისუფალია მის გარშემო მყოფ პირთა საეჭვო ზემოქმედებისაგან, ყოველდღიურად არ ზრუნავს საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისათვის და თითოეულ მის გვერდით მდგომ თანამოძმეში მხოლოდ პოტენციურ მეტოქეს არ ხედავს. ეს გამორიცხავს უზენაესი ხელისუფლების სათავესთან შემთხვევითი პირის მოხვედრის შესაძლებლობას, შესაძლებლობა გვეძლევა „ერის მამად“ ვაკურთხოთ მხოლოდ ის, ვინც ღმერთთან მხოლოდ იმისათვის ილაპარაკებს, „რომ წარუძღვეს წინა ერსა“.

საჭიროა სათანადო ცვლილება შევიტანოთ 118-ე მუხლის კონსტრუქციაში. „დეპუტატი შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურებრივი თუ საწარმოო მოვალეობების შესრულებისაგან თავისი უფლებამოსილების მთელ პერიოდში“, — გვაუწყებს აღნიშნული მუხლი.

ხელისუფლების ორგანოში ხალხის მიერ წარგზავნილი დეპუტატი სახელმწიფო მართვის კანონებს უნდა ეცნობოდეს, სწავლობდეს და ჰქონდეს ამომრჩევლების ინტერესებისათვის მათი გამოყენების შესაძლებლობა.

დეპუტატის ფუნქციის განხორციელება შეუთავსებელი უნდა იყოს ერთდროულად სხვა თანამდებობრივი და სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებასთან. საკითხისადმი ასეთი მიდგომა პარლამენტში გზას გადაუღობავს ადამიანებს, რომლებსაც დეპუტატის სტატუსი თანამდებობრივ დანამატად მიაჩნიათ.

118-ე მუხლის შესაბამისი ნაწილი საჭიროა ჩამოყალიბდეს: „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატი, როგორც წესი, აუცილებელია გათავისუფლდეს თანამდებობრივი, სამსახურებრივი და საწარმოო მოვალეობის შესრულებისაგან და მთელი უფლებამოსილების პერიოდში მთლიანად ემსახურება დეპუტატის უფლება-მოვალეობათა განხორციელების საქმეს“.

პროექტის 92-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს სსრ მოქალაქე არ შეიძლება იყოს ერთდროულად სახალხო დეპუტატი სახალხო დეპუტატთა ორზე მეტ საბჭოში.

აუცილებლად მიგვაჩნია პროექტის ეს მოთხოვნა შეიცვალოს შემდეგნაირად: „საქართველოს სსრ მოქალაქე, გარდა საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარისა არ შეიძლება იყოს ერთდროულად სახალხო დეპუტატი სახალხო დეპუტატთა ერთზე მეტ საბჭოში“.

გამონაკლისის დაწესება გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ყველა ზემოთ მითითებული პირი თანამდებობრივად, კონსტიტუციით გამოცხადებულნი არიან ზემდგომი სახალხო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად.

გარდაქმნისა და საჯაროობის პერიოდში კვლავ ძველი სტერეოტიპებით მოღვაწეობა დაუშვებელია. ამ მიმართებით პროექტი ყველაზე დიდ გულმოდგინებას სახალხო სასამართლოებში სახალხო მოსამართლეების არჩევნებთან დაკავშირებით ამჟღავნებს.

1989 წლის 4 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა კანონი „სსრ კავშირის მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“. ამ კანონმა საერთოდ მოშალა რაიონისა და ქალაქის სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა პირდაპირი, უშუალო ხალხის მიერ არჩევის ინსტიტუტი და მათი არჩევის უფლება, ისევე როგორც ყველა ზემდგომი სასამართლოების შემადგენლობის არჩევისა, სახალხო დეპუტატთა შესაბამის ზემდგომ საბჭოებს დააკისრა. მოსამართლის სავარძელთან ამ გზით მისული კაცის „სახალხო მოსამართლის“ მანტიით შემოსვა ერთობ უხერხულია.

პროექტი, სამწუხაროდ, კანონის ამ მოთხოვნას სიტყვა-სიტყვით იმეორებს — 164-ე მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებისას.

დღეისათვის მოქმედ კონსტიტუციაში მითითებულია, რომ რაიონული (საქალაქო) სახალხო მოსამართლეებს ირჩევენ უშუალოდ მოქალაქეები, ხოლო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ფარული კენჭისყრით, 5 წლით. პროექტში კი გათვალისწინებულია, რომ „რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებსა და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ზემდგომი საბჭოები“. არჩევის ამ წესის დამკვიდრების შემთხვევაში „სახალხო სასამართლოსა“ და „სახალხო მოსამართლის“ მხოლოდ სახელწოდებაღა შემოგვრჩება.

ჩვენი რესპუბლიკის პირობებში, ლამის ყველა „სახალხო მოსამართლის“ არჩევა რაიონისა და ქალაქის მოსამართლეების სახით (გარდა თბილისში, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შემავალი რაიონებისა), საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მეშვეობით მოგვიწევს.

ვფიქრობთ, რომ ყოველმხრივ გავზარდოთ ადგილობრივი ხელისუფლების უფლებები, ვლაპარაკობთ, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩვენი მოქალაქეების სახელმწიფო საქმიანობაში ჩაბმის შესახებ, და, სამწუხაროდ, პროექტის ეს ნაწილი სწორედ ყოველივე ამის საწინააღმდეგოს გვთავაზობს.

ჩვენი რესპუბლიკის იურისტებმა დიდი გამოცდა უნდა ჩააბარონ დემოკრატიის სახელით სახალხო მოსამართლეების არჩევნების პროცესში. ეს პროცედურა კი ასე წარმოგვიდგენია: სახალხო მოსამართლეების არჩევნები პირდაპირია, სახალხო მოსამართლეებს მოქალაქეები უშუალოდ ირჩევენ. სახალხო მოსამართლეთა საარჩევნო ბიულეტენებში შეიძლება შეტანილი იყოს (სათანადო ცენზისა და გარკვეული წინასაარჩევნო პროცედურის გავლის შემდეგ) ნებისმიერი რიცხვი, მაგრამ არა ნაკლებ ორისა.

ამასთან, ყველა მოსამართლე, რომელსაც არჩევის ვადა გაუვიდა, როგორც წესი, თუ თვითონ არ იქნება წინააღმდეგი, სხვებთან ერთად კენჭს იყრის მის სამოქმედო რეგიონში გამართულ სახალხო მოსამართლეთა არჩევნებში. ეს იქნება ყველაზე დიდი გარანტია მცოდნე, გამოცდილი და ავტორიტეტის მქონე იურისტებით სასამართლო ორგანოების შევსებისა და „სახალხო მოსამართლეებზე“ ადგილობრივი და ცენტრის ზემოქმედების აღსაკვეთად. სახალხო მოსამართლეთა არჩევის ეს გზა მომავალში ზემდგომი სასამართლოების არჩევის წესსაც უნდა დაედოს საფუძვლად.

სასიხარულოა, რომ სწორედ ასეთ მოთხოვნებს აყენებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტი საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციასთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ საჭიროა აღნიშნული საკითხები ჩვენი რესპუბლიკის სახალხო დეპუტატებმა თამამად დააყენონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე და თავიანთი მოღვაწეობით ხელი შეუწყონ რესპუბლიკის კონსტიტუციაში მისი სუვერენიტეტის გამომხატველი ფუძემდებლური სამართლებრივი ნორმების შეტანას.

მიხეილ ქურდაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

პროექტი და ალტერნატივა

გაზეთ „იზვესტიაში“ დაბეჭდილი საინტერესო პუბლიკაციის ავტორი, ეხებოდა რა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის საკანონმდებლო მუშაობის ფორმებს, მიუთითებდა, რომ განათლების სისტემის ერთ-ერთი რგოლის რეფორმის შესახებ კანონის პროექტი ერთი წლის განმავლობაში იხილებოდა სხვადასხვა ინსტანციაში და მხოლოდ მაშინ დაისვა საკითხი ამ კანონის მიღების შესახებ, როცა აღარ დარჩა არც ერთი სადავო მუხლი თუ დებულება, სადავო სიტყვა და სასვენი ნიშანი.

გასაგებია, რომ სახელმწიფოში, რომელიც 70 წლის არსებობის მანძილზე მხოლოდ დღეს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობები კანონებით უნდა რეგულირდებოდეს და არა ლოზუნგებით, ასეთ ფუფუნებაზე ოცნებაც ზედმეტია. ეს მით უფრო ითქმის საქართველოზე, რომლის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საკანონმდებლო საქმიანობა საკავშირო საკანონმდებლო აქტების გადმოქართულებითა და, უკეთეს შემთხვევაში ცენზურაგამოვლილი „საკუთარი“ კანონების მიღებით შემოიფარგლებოდა. ეს ყველაფერი გვესმის და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსაგან არც მოვითხოვთ იმის გაკეთებას, რაც მის რეალურ შესაძლებლობებს აღემატება. მაგრამ ის, რისი მოწმენიც დღეს ვართ, ჩვენი აზრით, ვერავითარი ობიექტური მიზეზით ვერ აიხსნება და საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს.

რესპუბლიკაში არსებული ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარების, საზოგადოებრივი აზრის რამდენიმე მიმართულებით პოლარიზაციისა და საზოგადოების არნახული პოლიტიკური აქტივიზაციის პირობებში ქვეყნდება საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონების პროექტები და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის კი გაუმართლებლად მცირე დრო რჩება, ეს მაშინ, როცა გვაქვს შარშანდელი ოქტომბერ-ნოემბრის მწარე გამოცდილება. ვშიშობთ, ამით რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ერთობ დიდ პასუხისმგებლობას კისრულობს. სიტუაციას ისიც ამძაფრებს, რომ შემოთავაზებული პროექტები, გარდა იმისა, რომ მრავალ შეუსაბამობას შეიცავს, საერთოდ არ ითვალისწინებს მთელი რიგი „მოძველებული“ კონსტიტუციური მუხლების შეცვლას და მათ არსებულ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანას. ეს განსაკუთრებით ითქმის ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ კანონის პროექტზე, რომელიც იმდენად არასრულყოფილია, რომ მისი განხილვაც კი უხერხულია.

ჩვენ შორს ვდგავართ იმ აზრისაგან, რომ ეს პროექტები ძირეულად უნდა განსხვავდებოდნენ მოქმედი კონსტიტუციისა და შესაბამისი კანონებისაგან. პირიქით, დღეს საზოგადოება და სახელმწიფო ერთგვარ გარდამავალ საფეხურზეა და, ჩვენდა საუბედუროდ, კანონიც სწორედ გარდამავალი ხასიათისა გვესაჭიროება. მართალია, არანორმალურია, მაგრამ ამასთან გარდაუვალია ის, რომ უახლოეს მომავალში მიღებულ საკანონმდებლო აქტებს უფრო მეტად ტაქტიკური დატვირთვა მივცეთ, ვიდრე სტრატეგიული. სწორედ ამიტომ, ვიწყებთ რა მსჯელობას შემოთავაზებული კანონპროექტების ავკარგიანობაზე, მკაფიოდ განვსაზღვრავთ ჩვენს პროგრამა მინიმუმს: შევქმნათ დღევანდელ ეტაპზე მაქსიმალურად შესაძლო დემოკრატიული საარჩევნო მექანიზმი, დავიცვათ იგი სხვადასხვა ორგანოთა თუ პირთა შესაძლო სუბიექტური ზემოქმედებისაგან, უზრუნველვყოთ არჩევნებზე ფართო საზოგადოებრივი კონტროლი საარჩევნო კამპანიის მთელ პერიოდში.

მოვხაზოთ ახალი უმაღლესი ორგანოს სტრუქტურისა და საქმიანობის ძირითადი კონტურები და ამასთან ერთად, სათანადო სახე მივცეთ საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციის იმ მუხლებსა და დებულებებს, რომელთა სსრ კავშირში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებასთან შესაბამისობაში დაუყოვნებლივ მოყვანა რესპუბლიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული და დამატებითი ვარიანტები პრესაში გამოქვეყნდა (იხ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989 წლის 28 სექტემბერი), ამჯერად შემოვიფარგლებით რამდენიმე პრინციპული შენიშვნითა და მოსაზრებით.

თვით ქართველი საზოგადოების მიერ სათანადოდ შეფასებული პარტიის ეროვნული პოლიტიკის პლატფორმამ კი აღიარებს „ცენტრის“ შესაძლო თავხედობისაგან რესპუბლიკების ინტერესების დაცვის სამართლებრივი მექანიზმის შექმნის აუცილებლობას და ამიტომ, მით უფრო გასაკვირია, რომ გამოქვეყნებულ პროექტებში ვერ ვხედავთ ამ იდეის ხორცშესხმის ცდასაც კი. მართალია, ვთვლით, რომ ამ პრობლემის მოგვარების საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა სრულ პარიტეტულ საწყისებზე 15 მოკავშირე რესპუბლიკის მიერ საკავშირო ორგანოს შექმნა და ამ ორგანოს მიერ კანონების კონსენსუსის წესით მიღება, მაგრამ ანგარიშს ვუწევთ იმასაც, რომ ასეთი სისტემის შექმნა დამოკიდებულია ჩვენს გარდა კიდევ 14 მოკავშირე რესპუბლიკის ნება-სურვილზე — ფორმალურად და „ცენტრის“ ნებაზე — ფაქტობრივად. ამიტომ გთავაზობთ თავდაცვითი მექანიზმის ისეთ ვარიანტს, რომლის შექმნაც დამოუკიდებლად შეგვიძლია. იგი ჩამოყალიბებულია 69-ე და 77-ე მუხლების ჩვენეულ ვარიანტებში. მათი ძირითადი დანიშნულება შემდეგში მდგომარეობს:

1. 77-ე მუხლის შემოთავაზებულმა პროექტმა უნდა შეავსოს ის ნორმატიული სიცარიელე, რაც სუფევს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებში არსებულ ორ უკიდურესობას შორის — რესპუბლიკამ ან უსიტყვოდ უნდა შეასრულოს „ცენტრის“ მიერ მიღებული, თუნდაც მისი ინტერესების შემლახავი კანონი თუ ქვეკანონიერი აქტი ან უნდა დატოვოს კავშირი.

2. 69-ე მუხლის ჩვენს მიერ შემოთავაზებულმა დამატებებმა უნდა უზრუნველყონ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებში არსებული რესპუბლიკის სუვერენიტეტის რეალურად დამცველი ერთადერთი დებულების — კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლების — დაცვა მოსალოდნელი ხელყოფისაგან.

ასეთი ხელყოფის ფაქტები წარსულში მრავლად მოგვეპოვება. მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ 1977 წლის კონსტიტუცია და 1988 წლის კანონის პროექტი სსრ კავშირის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. დღევანდელ არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციაშიც არსებობს კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლების გაუქმებისა ან შეზღუდვის რეალური საშიშროება.

სხვათა შორის, ამ უფლების დაცვის ინსტიტუტი შეტანილი იყო სსრ კავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულებაში 1923 წლის 6 ივლისს სსრკ ცაკ-ის პირველი მოწვევის მეორე სესიის მიერ, რაც შემდგომ დაამტკიცა საბჭოების საკავშირო ყრილობამ 1924 წლის იანვარში. იქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ამ უფლების გაუქმება, განსხვავებით ხელშეკრულების სხვა დებულებებისაგან, საბჭოების საკავშირო ყრილობას არ შეეძლო, თუ არ იქნებოდა კავშირში შემავალი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის თანხმობა. სსრ კავშირის შემდგომ კონსტიტუციებში კი რატომღაც ეს ინსტიტუტი აღარ აისახა.

პრინციპულია საარჩევნო უფლებების მქონე მოქალაქეთა წრის განსაზღვრა. ეს წრე აუცილებლად უნდა შემოიფარგლოს საქართველოს მოქალაქეებით, რომელთათვისაც არ არის სულერთი თავის და თავისი შვილების სამომავლო საქართველოს ბედიღბალი. აშკარაა, რომ ემოციური მიდგომა ამ საკითხისადმი არაფერს კარგს არ მოგვიტანს, მაგრამ საღი ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმ სიტუაციის დატოვება (და ეს გათვალისწინებულია გამოქვეყნებულ პროექტში), როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობდნენ 2 კვირით დასასვენებლად ჩამოსული სხვა რესპუბლიკების მოქალაქეები და ტრანზიტული მგზავრებიც კი, ყოვლად დაუშვებელია და სრულებით არ ემსახურება ამომრჩევლების მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდას. ასევე მიუღებელია, მაგალითად, ისეთი სიტუაცია, როდესაც სხვა რესპუბლიკიდან ჩამოსულ სამხედრო მოსამსახურეს, რომელსაც 2-3 თვის შემდეგ დემობილიზაცია და სახლში დაბრუნება ელის, ხმის მიცემის უფლება ეძლევა. ამითაა გამოწვეული ჩვენი წინადადებანი კონსტიტუციის 96-ე და 97-ე და საარჩევნო კანონის 2, 6, 8, 9 და ა. შ. მუხლებში შესატანად.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ ნათლად გვიჩვენა, ხოლო საერთაშორისო პრაქტიკიდან ადრეც იყო ცნობილი, რომ მრავალრიცხოვან თავყრილობებზე არ იქმნება სამუშაო სიტუაცია საკანონმდებლო, საპარლამენტო საქმიანობისათვის. მათი სამიტინგო ატმოსფერო მხოლოდ მანიპულირების საშუალებას იძლევა, მაშინ, როდესაც ჩვენ ვდგავართ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ძირეული ცვლილებების გარდუვალობის, საბჭოებისადმი რეალური ძალაუფლების გადაცემის აუცილებლობის წინაშე. ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება მუშა, მობილური პარლამენტი, რომელიც შეძლებს ამ ცვლილებების სამართლებრივი საფუძვლის შექმნას, ძალაუფლების ხელში აღებას და სწრაფ რეაგირებას მოახდენს საგარეო და საშინაო მოვლენებზე. ეს კი მხოლოდ დეპუტატთა ზომიერი რიცხვის მქონე, აუცილებლად მუდმივმოქმედ საბჭოს ძალუძს.

საბჭოს რიცხობრიობა შემოფარგლულია ქვემოდან მუდმივმოქმედი კომისიების რაოდენობითა და რიცხობრიობით, ხოლო ზემოდან ნებისმიერი მსურველისათვის განსახილველი პრობლემის შესახებ თავისი აზრის გამოთქმის, ხელისუფლების ორგანოში თავის ამომრჩეველთა გულისტკივილისა და დანაბარების მიტანის შესაძლებლობით. ამისათვის დეპუტატებს საკმაო დრო უნდა გამოეყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ადამიანს არ მიეცა თავისი აზრის გამოთქმის საშუალება, იგი არც სხვას დაუგდებს ყურს. მრავალრიცხოვანი საბჭოს შემთხვევაში ამის რეალური საშიშროება არსებობს, ყრუ და მუნჯი საკანონმდებლო ორგანოს შექმნა კი ყოველგვარ აზრს მოკლებულია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოლიტიკური პრაქტიკის უქონლობის გამო საქართველოში სახელმწიფო მასშტაბის მოღვაწეთა აშკარა სიმცირეა. ასეთ ვითარებაში იქმნება საშიშროება, რომ მრავალრიცხოვანი უზენაესი საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობა წარმოდგენილი იქნება შემთხვევითი პირებით, რაც საბოლოო ანგარიშში საბჭოს გადააქცევს „ხმის მიცემის მანქანად“. ეს კი ძალზე საშიშია, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონის პროექტის მე-12 მუხლი კრძალავს საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების გარდა დაფინანსების სხვა წყაროს გამოყენებას. ასეთმა აკრძალვამ აბსურდამდე შეიძლება მიგვიყვანოს. გამოდის, რომ ამომრჩეველი, რომელიც თავისი ხარჯით შეიძენს ერთ ქილა საღებავს მისთვის სასურველი დეპუტატობის კანდიდატის მხარის დასაჭერი ტრანსპარანტის დასამზადებლად, კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ჩადის. ამ მუხლის ალტერნატიული ვარიანტი, ითვალისწინებს რა საარჩევნო კამპანიის დაფინანსების სხვა წყაროების არსებობასაც, ამავე დროს ზემოდან ზღუდავს ამ მიზნით გამოყენებული თანხების ოდენობას, რაც პრაქტიკულად უზრუნველყოფს დაახლოებით ერთნაირ პირობებს ყველა დეპუტატობის კანდიდატისათვის. ალტერნატიულ ვარიანტში გათვალისწინებულია აგრეთვე გამოყენებულ სახსრებზე კონტროლის მექანიზმიც.

გამოქვეყნებული კანონპროექტის 33-ე მუხლი, რომელშიც განმარტებულია დეპუტატობის კანდიდატის დასახელების წესი, ბევრ შემთხვევაში უშვებს არაცალსახა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამ მუხლის ჩვენ მიერ შემოთავაზებული ფორმულირება კი იძლევა დასახელების წესის მკაცრ რეგლამენტირებას. გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების კიდევ ერთ მექანიზმს, რაც, ჩვენი აზრით, უფრო დემოკრატიულს ხდის მთლიანად არჩევნებს.

საქმე ის არის, რომ კანონპროექტში მოცემული დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების წესი არ არის დაზღვეული ამომრჩეველთა ნება-სურვილზე „ზემოდან დაწოლისაგან“. შრომითი კოლექტივების ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობის კრებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მოძრაობების მმართველობის ორგანოების შეკრებების მოწვევა და მათზე განსახილველ დეპუტატობის კანდიდატთა წრე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საარჩევნო კომისიების, სხვადასხვა რანგის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების ხელმძღვანელთა ნება-სურვილზე, რაც გარკვეულწილად ზღუდავს ყოველი მოქალაქის უფლებას არჩეულ იქნას ამა თუ იმ საბჭოს დეპუტატად.

ამგვარ „ზემოდან დაწოლის“ შესაძლებლობას და შეუსაბამობას გამორიცხავს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების წესი საოლქო საარჩევნო კომისიაში მოცემული ოლქის ამომრჩევლების განცხადების (პეტიციის) წარდგენის გზით. ამ წესის დაკანონება გააფართოვებს დეპუტატობის კანდიდატთა წრეს იმ პირთა ხარჯზე, რომელთაც აქვთ გარკვეული ავტორიტეტი ამომრჩევლებში, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ სარგებლობენ ზემოდასახელებულ ხელმძღვანელ მუშაკთა და ორგანოთა კეთილგანწყობით.

აღნიშნული წესის საწინააღმდეგოდ არსებობს მოსაზრება, თითქოს იგი არადემოკრატიულია, რადგან შეიცავს ხელმოწერების შეგროვების დროს ამომრჩევლებზე ძალდატანების შესაძლებლობას. ჩვენ ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, ვინაიდან მოქალაქეთა ჯგუფმა, რომელიც ხელმოწერების შეგროვებას აპირებს, წინასწარ უნდა აცნობოს თავისი განზრახვის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას. შესაბამისად, მომავალ „მოძალადეთა“ ვინაობაც თავიდანვე იქნება განსაზღვრული და კანონის დარღვევის შემთხვევაში არც მათი დასჯა გაჭირდება.

პრინციპულად მიგვაჩნია მე-14 მუხლის დამატება, რომელიც დააკანონებს უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების განცალკევებით ჩატარებას. ამ არჩევნების ერთდროულად ჩატარების შემთხვევაში ამომრჩეველს მოუხდება 3-4 პარალელური საარჩევნო კამპანიის თვალყურის დევნება და ამდენივე ბიულეტენში შეტანილი მრავალი კანდიდატურიდან სწორი არჩევნის გაკეთება. ეს დაბნევს ამომრჩეველთა უმრავლესობას და დაარღვევს არჩევნების პროცესის ორგანიზებულობას, ხელს შეუშლის მრავალი ღირსეული კანდიდატის (რომლებიც თანასწორ ბრძოლაში ვერ მოხვდებიან უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რიგებში) ადგილობრივი საბჭოების დეპუტატად გახდომას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს არაქმედითი საბჭოების ფორმირებას, რაც დღევანდელ პირობებში ქვეყნის წინაშე დანაშაულის ტოლფასია. საგულისხმოა, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ამ არჩევნების სწორედ განცალკევებით ჩატარებაა გათვალისწინებული.

რევაზ შავიშვილი, გიორგი ლაპიაშვილი, ვახტანგ ხმალაძე, დავით უსუფაშვილი, ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი, ზაზა ნამორაძე, გია შერვაშიძე.

შოთა რუსთაველის საზოგადოებაში

ვიცხოვროთ ღირსების გრძნობით

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა რუსთაველის საზოგადოების თანაპრეზიდენტმა თამაზ კვაჭანტირაძემ.

კონფერენციამ დაამტკიცა ინვალიდთა ასოციაციის პროგრამისა და წესდების ძირითადი პრინციპები, ემბლემა და ჰიმნი.

ინვალიდთა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტად არჩეულია მწერალი ბიგლა სარიშვილი, პრეზიდენტად — ზაზა სიხარულიძე, თანაპრეზიდენტად — თინათინ შედია.

ამ მოვლენას ეძღვნება ინვალიდთა ასოციაციის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორის, დამფუძნებელი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, მწერლის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, შრომის პირველი ჯგუფის ინვალიდის ზაზა სიხარულიძის სტატია.

თავის საპროგრამო წერილში „რას ვაპირებთ" ბატონი აკაკი ბაქრაძე მართებულად აღნიშნავდა: „არ არის პრობლემა, რომლის გამოც რუსთაველის საზოგადოებას არ მიმართავს ხალხი".

ინვალიდთა დამოუკიდებელი ორგანიზაციული საზოგადოებრივი გაერთიანების დამაბრკოლებელ გარემოებათა გამო, ჩვენც ამ გზას დავადექით იმ რწმენით, რომ „რუსთაველის საზოგადოება ყოველ ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმეში უნდა მონაწილეობდეს სრულიად ნათელი და მკაფიოდ გამოხატული პოზიციით" (ა. ბაქრაძე). და რუსთაველის საზოგადოებამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, შეგვიფარა თავის მძლავრ ფრთებქვეშ.

ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დღეს საქართველოში ყოველი წამოწყება ჩვენი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავისი სპეციფიკური მიზნების გადაწყვეტასთან ერთად, ინვალიდთა ასოციაცია ყოველნაირად შეუწყობს ხელს ჩვენი სამშობლოს სრული ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობის მოპოვებას.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაცია თავის საქმიანობას წარმართავს რუსთაველის საზოგადოების პროგრამის და წესდების შესაბამისად თავისი სპეციფიკური ამოცანების გათვალისწინებით.

ასოციაციის მიზანია ინვალიდთა სოციალური რეაბილიტაცია, მათი საყოფაცხოვრებო პირობების, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, საინვალიდო სპორტის სახეობათა დანერგვა და განვითარება.

ასოციაცია მოიცავს სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ეროვნების ინვალიდებს, აგრეთვე საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს ხეიბარ თანამემამულეებს.

ასოციაცია თავისი წევრების შრომას წარმართავს რესპუბლიკის განუხრელი ეკონომიკური აღმავლობის მისაღწევად. ამ მიზნით ასოციაცია აერთიანებს ინვალიდთა საწარმოებს, ქმნის ახალ დაწესებულებებსა და კოოპერატივებს. ეს საწარმოები თავის საქმიანობას წარმართავენ, უპირველესად, თვით ინვალიდთა საჭიროებების, აგრეთვე, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ინვალიდთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ფართოდ უნდა გაიშალოს კოტეჯური ტიპის ბინების, პანსიონატებისა და სანატორიუმების, საავადმყოფოების, სპეციალურ სასწავლებელთა, კულტურის კლუბებისა და სასახლეების, სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსთა მშენებლობა.

ასოციაცია ხელს შეუწყობს რესპუბლიკის საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა განვითარებას ინვალიდთა საკავშირო და მსოფლიო ორგანიზაციების მეშვეობით.

ასოციაცია ზრუნავს:

— ინვალიდთა პენსიებისა და ხელფასების ნიხრის ასამაღლებლად, თვით ნიშნავს დამატებით პენსიებსა და ხელფასებს;

— ინვალიდთა კულტურული და განათლების დონის ასამაღლებლად. ამ მიზნით ასოციაცია ჩამოაყალიბებს შესაბამის წრეებსა და კურსებს, გააფართოებს სპეციალური სკოლა-ინტერნატების ქსელს, დააარსებს სპეციალურ სასწავლებლებს...

ასოციაცია ფართოდ შლის საქველმოქმედო საქმიანობას, ამ მიზნით გამართავს კონცერტებს, პოეზიის საღამოებს, გამოსცემს ინვალიდებისათვის საჭირო ლიტერატურას, აგრეთვე, სპეციალურ გაზეთსა და ჟურნალს.

ინვალიდთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ასოციაცია მიზნად ისახავს სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებათა შექმნას, საინვალიდო სპორტის სახეობათა დანერგვა-განვითარებას, ჩაატარებს რესპუბლიკურ ტურნირებს ინვალიდთა შორის, ჩამოაყალიბებს ნაკრებებს ინვალიდთა საკავშირო თუ მსოფლიო სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად.

ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს 16 წელს მიღწეული ყველა მოქალაქე, რომელიც აღიარებს ასოციაციის პროგრამასა და წესდებას.

ასოციაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ამ ვალდებულებათა შესრულების გამო.

ასოციაცია აიგება დემოკრატიულობისა და საჯაროობის პრინციპების საფუძველზე, ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნის მიხედვით.

პირველადი ორგანიზაციები გაერთიანდებიან ასოციაციის რეგიონალურ ორგანიზაციებად საქართველოს ისტორიული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის საფუძველზე.

ასოციაციისა და მისი რეგიონალური ორგანიზაციების შექმნა და ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა მოხდება დამფუძნებელ კონფერენციებზე.

ასოციაციის უზენაესი ხელმძღვანელი ორგანო იქნება კონფერენცია (საკრებულო), რეგიონალური გაერთიანებებისა — დარბაზი, პირველადი ორგანიზაციებისა — კრება.

საკითხის გადაწყვეტა ხდება ღია პირდაპირი კენჭისყრით.

საკრებულო, დარბაზი, კრება უფლებამოსილია, თუკი მას ესწრება დელეგატთა ან წევრთა, ანდა მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლების ორი მესამედი.

ასოციაციის საკრებულო გაიმართება ყოველწლიურად ასოციაციის საბჭოსა (სავაზიროს) და სათათბიროს ერთობლივი გადაწყვეტილებით. ამავე საფუძველზე შეიძლება რიგგარეშე საკრებულოს მოწვევაც.

საკრებულოს მოწვევის დრო, ადგილი და დღის წესრიგი გამოცხადდება წინასწარ. საკრებულო აირჩევს ასოციაციის პრეზიდენტს, საბჭოსა და სათათბიროს წევრებს.

აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ასოციაციის პრეზიდენტის კანდიდატურის შერჩევა ინვალიდთა წრიდან. საკრებულოებს შორის ასოციაციის საქმიანობას წარმართავენ პრეზიდენტი და საბჭო, ანუ სავაზირო.

სათათბირო პრეზიდენტისა და საბჭოს ოპოზიციაა, რომელიც კონტროლს უწევს ასოციაციის ხელმძღვანელობის საქმიანობას. სათათბიროს გადაწყვეტილება სავალდებულო გახდება პრეზიდენტისათვის, თუკი სათათბიროს წინადადებას მხარს დაუჭერს საკრებულოს დელეგატთა ორი მესამედი.

ამგვარია ინვალიდთა ასოციაციის პროგრამისა და წესდების ჩვენეული ძირითადი პრინციპები.

ალბათ, დაინტერესებულ მკითხველს დაებადება მოსაზრებანი თუ შენიშვნები ჩვენს წერილში აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით. გთხოვთ, თქვენი წინადადებები მოგვაწოდოთ შემდეგი მისამართით: **380086, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მეორე კვარტალი, მეშვიდე კორპუსი, ბინა 29, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის საორგანიზაციო კომიტეტს. ტელეფონი: 39-20-13.**

ინთება რამპის ჩირაღდნები

ამჯერად ქართული სჭარბობს

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა ახალი სეზონი „მეფე ლირით" დაიწყო.

— სეზონის გახსნას პრემიერით ვაპირებდით, — უთხრა „კომუნისტის" კორესპონდენტს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **რობერტ სტურუამ**, — რეჟისორ ნანა ხატისკაცს მზადა აქვს ახალი დადგმა — თამარ ებრალიძის პიესა „გუშინწინ, გუშინ, დღეს... ხვალ?", მაგრამ, ჩვენდა უნებურად, პრემიერა ოქტომბერში გადავიდა...

— სასიამოვნოა აღინიშნოს, — განაგრძობს რ. სტურუა, — რომ ახალ სეზონში ჩვენთან ქართული რეპერტუარი სჭარბობს. მაგალითად, თამარ ებრალიძის პიესის გარდა, გეგმაში გვაქვს ვლადიმერ სიხარულიძის, ერლომ ახვლედიანისა და გია ანთაძის ახალი ნაწარმოებები, რეჟისორი გიზო ჟორდანია აპირებს „მცირე სცენაზე" წარმოადგინოს „კაცია ადამიანი?!" გარდა ამისა პორტფელში გვაქვს რამდენიმე ქართული პიესა, რომელთაგან, ცხადია, შევარჩევთ საუკეთესოებს. ამჯერად მეც ქართულ დრამატურგიას „მივაკითხე". საქმე ის არის, რომ 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, როცა შინაგანად ასე შეიცვალა ჩვენი ყოფა, სულ ვფიქრობ, რა ნაწარმოებებმა შეიძლება მოუოხოს გული ჩვენს უმძიმეს ტრავმაგადატანილ ხალხს. მარტო პუბლიცისტიკაც არ გამოვა, თეატრი უფრო მეტს მოითხოვს... ჰოდა, არჩევანი შევაჩერე პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმალზე". ამ ბრწყინვალე ნაწარმოებს კარგი ტრადიცია აქვს ქართულ თეატრში, მარტო გიგა ლორთქიფანიძის დადგმა რად ღირს! ესეც პასუხისმგებლობას გვმატებს, ჩემი აზრით, სწორედ „კახაბერის ხმალი" აანალიზებს იმ პრობლემებს, რაც დღეს ასე მწვავედ დგას ქართველი ხალხის წინაშე... ვნახოთ, თუ ყველაფერი კარგად იქნა, წელს წარმოვადგენთ ამ პიესას...

რუსთაველის თეატრში, ალბათ, წელს შტატებს გადავახალისებთ. რა თქმა უნდა, ეს მტკივნეული პროცესია, მაგრამ უამისოდაც არ იქნება... საქმეს ოდნავ ის გვიადვილებს, რომ ამჟამად პენსია გაცილებით მეტი ენიშნება მსახიობს, და თანაც, იგი თეატრთან კავშირს არ განწყვეტს, ჩვენთან დარჩება როგორც შტატგარეშე, სხვადასხვა სპექტაკლებშიც მიიღებს მონაწილეობას და ამ მონაწილეობისათვის, განაკვეთით რაც ეკუთვნის, აუნაზღაურდება კიდეც...

თეატრი წლის ბოლოს მიწვეულია ჩეხოსლოვაკიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამასაც თავისებური სამზადისი უნდა, რაც შეეხება ჩემს ხელახალ „გასტროლს" საბერძნეთში (მოგეხსენებათ იქ მიწვეული ვიყავი „ოიდიპოს მეფის" დასადგმელად), კმაყოფილი ვარ. „ოიდიპოსი" უზარმაზარი ნაწარმოებია და მის დამდგმელს რამდენიმე კარგი სცენაც რომ გამოუვიდეს, ეს უკვე წარმატებას ნიშნავს „ოიდიპოსს" მოჰყვა ძალიან კარგი რეცენზიები, მოჰყვა კრიტიკაც, ოღონდ — სასარგებლო და გასათვალისწინებელი... ათენში ყოფნისას მოხდა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც, ალბათ, ძალზე საინტერესო იქნება ქართველი საზოგადოებრიობისათვის: „ოიდიპოს მეფის" წარმოდგენის შემდეგ ჩემთან მოვიდა რამდენიმე ბერძენი მსახიობი და რეჟისორი. მათ მითხრეს, რომ სურვილი აქვთ ათენში გახსნან ახალი თეატრი — ღრმად პროფესიული, არაკომერციული და უწოდონ მას **„რუსთაველი მეორე"**... წარმოიდგინეთ, ამის გაგონებაზე, ჩემი გაკვირვება და სიხარული... აბა, მადლობის მეტი რა მეთქმოდა... ბერძნებმა რამდენიმე შენობაც კი დამათვალიერებინეს მომავალი თეატრისათვის... რამდენადაც ვიცი, ისინი ახლა ეძებენ სპონსორებს — დამფინანსებლებს... ბერძნები ალბათ ნოემბერში დამიკავშირდებიან და კონკრეტულად მეტყვიან ყველაფერს... ერთი რამ უკვე გარკვეულია: წელიწადში ერთხელ „რუსთაველ მეორეში" მომიწევს სპექტაკლის დადგმა... და განა მარტო მე? მომავალში ალბათ სხვა ქართველ რეჟისორებსაც მიიწვევენ... მთავარი და ჩვენთვის საამაყო ის არის, რომ შორს, ათენში, არსებობს, თეატრი, რომელსაც რუსთაველის სახელი ერქმევა....

აი, ასეთია მომავლის გეგმები.

ჟანრული მრავალფეროვნებით

გიორგი ცაბაძის მიუზიკლის „ას წელიწადში ერთხელ" პრემიერით დღეს, 29 სექტემბერს მორიგ თეატრალურ სეზონს ხსნის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრი. სეზონის სიახლეებზე „კომუნისტის" კორესპონდენტს **რუსუდან მუხიგულაშვილს** ესაუბრება თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ნუგზარ გაჩავა.**

თეატრს სახელწოდება კარგა ხანია შეეცვალა, მუსიკალური თეატრი ეწოდა. ეს ცხადია, ბევრ რამეს ავალებდა კოლექტივს, მაგრამ გასულ სეზონებში ჯერჯერობით ნაკლებ წარმოჩნდა ამ პროფილის თეატრისათვის დამახასიათებელი ჟანრები, რით ახსნით ამას?

— საქმე ის გახლავთ, რომ, ფაქტობრივად, მუსიკალური თეატრის სტატუსი ახლა მოგვეცა, რამაც უწინარესად ჟანრობრივი ჩარჩოების გაფართოება, მეტი ამოცანები დაგვისახა. ვფიქრობ, თეატრს რთული, მაგრამ ამავე დროს საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება ელის. დაიდგმება არა მარტო მიუზიკლები და ოპერეტები, არამედ საოპერო სპექტაკლები, როკოპერები, და, თქვენ წარმოიდგინეთ, დამოუკიდებელი საბალეტო სპექტაკლებიც. თეატრის მუსიკალურ ხელმძღვანელად მოწვეულია დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი, საბალეტო დასის ხელმძღვანელად კი ვახტანგ ჭაბუკიანი, თეატრის მთავარ მხატვრად დაინიშნა მამია მალაზონია.

— ჩინებული საოპერო მომღერლების — რესპუბლიკის სახალხო არტისტების მაია თომაძისა და ალეკო ხომერიკის შემატება კოლექტივში დიდი ძალაა, მაგრამ შეძლებს კი ახლანდელი გუნდი და საბალეტო დასი იტვირთოს ის რთული მისია, დამოუკიდებელ საოპერო და საბალეტო სპექტაკლებს რომ სჭირდება?

— გუნდს, ორკესტრს და საბალეტო დასს ჭეშმარიტად ესაჭიროება გადახალისება, გამდიდრება. სწორედ ამ მიზნით გამოვაცხადეთ კონკურსი ვოკალისტთა შორის. ასევე ვაცხადებთ კონკურსს ბალეტის სოლისტთა შორისაც. ღირსეულნი უთუოდ შეავსებენ თეატრის დასებს.

ნაწილობრივ ჩვენთან ითანამშრომლებენ საოპერო მომღერლები ე. გეწაძე და რ. ლაგვილავა.

პირველ საოპერო სპექტაკლად მაყურებელს შევთავაზებთ რ. ლაღიძის „ლელას". მას დგამს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიგა ლორთქიფანიძე. ვფიქრობთ საბავშვო ოპერის დადგმაზეც. ამჯერად ჩვენი არჩევანია კომპოზიტორ ნ. მამისაშვილის „ბაჭია-ბაჭია".

ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ თეატრი თავის ტრადიციებს უღალატებს. პირიქით, შევეცდებით ტრადიციების გაღრმავებას და დახვეწას. მალე მაყურებელი ნახავს შ. მილორავას მუსიკალურ კომედიას „მეცამეტე შეხვედრას" (დადგმა ზ. კახიანისა). ვმუშაობთ მოსკოველი კომპოზიტორის ბ. ულანოვსკის მიუზიკლზე „როკერები".

თეატრის სურვილია, ქართველმა კომპოზიტორებმა უფრო მეტად ითანამშრომლონ ჩვენთან, რადგან ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების თავიდათავი და საფუძველი ჭეშმარიტად უნდა იყოს ქართული რეპერტუარი. ამიტომაც გვახარებს ის, რომ საგანგებოდ ჩვენთვის წერენ მიუზიკლებს ზ. კვერნაძე და გ. სიხარულიძე.

რეპერტუარში კვლავ რჩება გასული სეზონების საუკეთესო დადგმები. სწორედ ამ დადგმებს ვუჩვენებთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ისრაელის მაყურებლებს, სადაც სულ მალე გასტროლები მოგველის. ეს იქნება კოლექტივის პირველი გასვლა უცხოეთში. მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვა ქვეყნებთან.

ძალიან გვახარებს ის ფაქტი, რომ დაჩქარდა ჩვენი ძველი შენობის რეკონსტრუქციის ტემპი, ეს კი იმედს გვაძლევს, რომ მალე საკუთარ ჭერქვეშ გავშლით ფრთებს, თუმცა აქ, პროფკავშირების კულტურის სასახლეში, სადაც დროებით დავიდეთ ბინა, ჩვენ ყოველგვარ პირობებს, გვიქმნიან, რომ თავი უცხოდ არ ვიგრძნოთ.

დამფუძნებელი კონფერენცია

შეიქმნა საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია

სოხუმში, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია. იგი გახსნა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვ. ქარჩავამ. მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ქალაქ თბილისსა და აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიების მსხვერპლთა ნათელ ხსოვნას.

კონფერენციას ესწრებოდა აფხაზეთის ყველა ქალაქისა და რაიონის ხუთასზე მეტი დელეგატი, აგრეთვე სტუმრები სახალხო ფრონტის სხვადასხვა რეგიონალური ორგანიზაციებიდან. დამფუძნებელი კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, პროფესორი ნ. ნათაძე, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატები: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ე. შენგელაია, პ. მარგველაშვილი, რ. სალუქვაძე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო-საეკლესიო ურთიერთობათა განყოფილების თავმჯდომარე დავითი, კინორეჟისორი ლ. ღოღობერიძე და სხვები.

მოისმინეს პროფესორ ზ. კვარაცხელიას მოხსენება სკკპ ეროვნული პოლიტიკის შესახებ თანამედროვე ეტაპზე, აგრეთვე ინფორმაციები საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის სტრუქტურისა და ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ. სიტყვით გამოვიდნენ პროფესორი ვ. ქარჩავა და ექიმი მ. ძოძუაშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პედაგოგმა რ. ქორჩილავამ, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დავითმა, სოხუმის პირველი საავადმყოფოს ქირურგმა ჯ. ჯოჯუამ, ლ. ღოღობერიძემ, ე. შენგელაიამ, სოხუმის რაიონის რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენელმა ს. სეჯაიამ, ნ. ნათაძემ, პ. მარგველაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წევრმა ნ. მგალობლიშვილმა, გულრიფშის რაიონის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ შ. ჯღამაძემ, გულრიფშელმა პედაგოგმა ა. ვასილჩენკომ, სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანემ ტ. გოჩალეიშვილმა, საქართველოს სახალხო ფრონტის წარმომადგენელმა ა. მარშანიამ, პენსიონერმა ხ. სევასტიანოვმა, მოსკოველ ქართველთა სათვისტომოს წარმომადგენელმა გ. ბერიტაშვილმა და სხვებმა.

გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში შექმნილ რთულ სიტუაციაზე, სადაც ექსტრემისტთა და წამქეზებელთა მიზეზით გამწვავდა ეროვნებათშორისი ურთიერთობა, გარდაქმნის მოწინააღმდეგე ძალებმა შეძლეს ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისათვის ლახვარი ჩაეცათ. მოითხოვეს ყველა სადავო საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა, იმათი დასჯა, ვინც აქტიურად მონაწილეობდა სოხუმში 1989 წლის 15—16 ივლისის დატრიალებულ სისხლიან ტრაგედიაში და ვინც ახლაც აღვივებს შუღლს.

კონფერენციამ მიიღო პოლიტიკური განცხადება საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისადმი და ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისადმი.

გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია გულრიფშის ლენინის სახელობის სანატორიუმის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შ. ჯღამაძე, მოადგილეებად — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პროფესორი ვ. ქარჩავა და ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორი ზ. კვარაცხელია. საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის შემადგენლობაში შევიდა 29 კაცი: მუშები, მეცნიერები, მწერლები, ექიმები, იურისტები, ეკონომისტები, პედაგოგები. შეიქმნა აგრეთვე ოპოზიციური ჯგუფი 15 კაცის შემადგენლობით.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის პროგრამა და წესდება, რომელიც ძირითადად ეყრდნობა საქართველოს სახალხო ფრონტის წესდებას და პროგრამას, ამასთან მასში გათვალისწინებულია რეგიონის სპეციფიკა.

** იოსებ გოგეჩია,**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, აღმოსავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 22-27, მთაში 16-21, მაღალმთიანეთში 8-13 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ღამით უნეტეს, დღისით ზოგიერთ რაიონში ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში 20-25, მთაში 17-22, მაღალმთიანეთში 14-19 გრადუსი.

თბილისში: ღამით ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — 23-25 გრადუსი.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
28 სექტემბერი

გარდაქმნის ავანგარდი

ბულგარეთში გამოვიდა მ. გორბაჩოვის მოხსენებების, სიტყვების, ინტერვიუების წიგნი

სოფია. „გარდაქმნის ლენინური ავანგარდი" — ასეთი სახელწოდებით გამოუშვა ბულგარეთის „პარტგამის" გამომცემლობამ წიგნი, რომელშიც შეტანილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვები, მოხსენებანი და ინტერვიუები 1988 წლის ივლისიდან 1989 წლის თებერვლამდე.

როგორც გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო" აღნიშნავს, წიგნში შეკრებილი მასალები გამოხატავენ შემოქმედებით მიდგომას იმ აქტუალური ამოცანების გადაწყვეტისადმი, რომლებიც საბჭოთა საზოგადოების წინაშე დგას, აყალიბებენ სსრ კავშირის ცხოვრების ყველა დარგში ღრმა რევოლუციური გარდაქმნების ძირითად მიმართულებებს. ბევრი მათგანი ეძღვნება კაცობრიობის გლობალურ პრობლემებს, რომელთაგან მთავარია მშვიდობის დაცვა. გადმოცემულია საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკის აღმშენებლობითი მიზნები.

გენერალური ასამბლეის სესია

უდიდესი ინტერესი საბჭოთა ინიციატივებისადმი

ნიუ-იორკი. ახალმა საბჭოთა საგარეოპოლიტიკურმა ინიციატივებმა, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის გამოსვლაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 44-ე სესიაზე, აგრეთვე მის მიერ წამოყენებულმა მსოფლიოს ახალი ხედვის კონცეფციის შემდგომმა განვითარებამ, რომელსაც საფუძვლად უდევს ყოვლისმომცველი უშიშროება, ფართო გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიო გაერთიანების წარმომადგენელთა შორის.

ეს გამოსვლა, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა, ერთსულოვანი აზრით, ფრიად კონსტრუქციული იყო. მასში დასმულია ბევრი საკითხი, რომლებიც მთელი საერთაშორისო გაერთიანების უდიდეს ინტერესს იწვევს. საბჭოთა ინიციატივების ყოვლისმომცველ ხასიათს, შეწონასწორებასა და კონსტრუქციულ სულისკვეთებას ყურადღება მიაპყრო გენერალური ასამბლეის 44-ე სესიის თავმჯდომარემ ჯ. გარბამ (ნიგერია). საჭიროა მთელი რიგი არსებითი ელემენტების შესწავლა, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა, ხაზგასმით აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ პ. ნოგეირა ბატისტამ (ბრაზილია).

„ეს იყო კარგი, საინტერესო სიტყვა, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. ბეიკერმა. — და, რა თქმა უნდა, ამ გამოსვლის ყველა დეტალს გულდასმით გავაანალიზებთ უახლოეს დღეებში".

ფოტოინფორმაცია

◆ **პირველი** ძალოსნის ტიტულისთვის იბრძვიან ამ ეგზოტიკური ტურნირის მონაწილენი, რომელიც ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანში გაიმართა. ერთ-ერთი გამოცდა იყო უზარმაზარი სატვირთო ავტომანქანის ადგილიდან დაძვრა და გარკვეულ მანძილზე წაყვანა. ტიტულის პრეტენდენტები მსოფლიოს რვა ქვეყნიდან ჩავიდნენ.

ეპა-საქდესის ფოტო.

● საბერძნეთი

პარლამენტის გადაწყვეტილება

ათენი. საბერძნეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა მოთხოვნას, რომ სასამართლო პასუხისგებაში მისცენ საბერძნეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ანდრეას პაპანდრეუ ეგრეთ წოდებულ „კოსკოტასის საქმესთან" — ამერიკის შეერთებულ შტატებში გაქცეული ბანკირის გამო ატეხილ სკანდალთან დაკავშირებით. ამრიგად, ყოფილი პრემიერი სასამართლოს წინაშე ორჯერ უნდა წარსდგეს. წინათ პარლამენტმა პაპანდრეუს გასამართლება მოითხოვა სატელეფონო საუბრების უკანონო მიყურადების ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის.

გეორგიოს კოსკოტასი — კრიტის ბანკის ყოფილი მეთაური და საგაზეთო მაგნატი ამჟამად ამერიკის ციხეშია. შარშან მის ბანკში აღმოჩნდა ფინანსური აფერა 230 მილიონი დოლარის ოდენობით, მაგრამ იგი მოულოდნელად გაუჩინარდა, ხოლო შემდეგ ოკეანის გაღმა აღმოჩნდა. გახმაურებული სკანდალის გამო რამდენიმე მინისტრი იძულებული გახდა გადამდგარიყო, რომლებსაც თაღლითის მფარველობა და მისგან დიდძალი თანხების მიღება დააბრალეს.

მიუხედავად ამისა, ა. პაპანდრეუ და მისი პარტია — სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობა კატეგორიულად უარყოფენ სკანდალებში მონაწილეობის ბრალდებას.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **მანილა.** ფილიპინის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა სირიაკო ალფელორმა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს განსახილველად შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ დახურული სხდომები და მოსმენები პარლამენტში და უზრუნველყონ ყველა მოქალაქისათვის ინფორმაციის სრული თავისუფლება.

● **კაირო.** ეგვიპტის უშიშროების ძალების თანამშრომლებმა დააპატიმრეს მაჰმადიანური ექსტრემისტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და აქტივისტები. როგორც გაზეთი „აშ-შააბი" იუწყება, ამ ბოლო დღეების მანძილზე კაიროში, ალექსანდრიასა და ქვეყნის მთელ რიგ სხვა რაიონებში დააპატიმრეს ათობით კაცი. გაზეთის აზრით, ამ კამპანიის მიზანია აღკვეთოს შესაძლო მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები.

● **ამანი.** ისრაელ ოკუპანტებთან პალესტინელთა გააფთრებული შეტაკებანი ხდებოდა გასულ დღე-ღამეში ისრაელის მიერ მიტაცებული მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირისა და ღაზის სექტორის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში. 60-ზე მეტი არაბი დაიჭრა. დააპატიმრეს ათობით კაცი. მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში დამპყრობლებმა დახურეს სკოლები.

სპორტის ამბები

● ჭადრაკი

ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი

ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში გრძელდება მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებას დამაჯერებლად ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, რომელიც მეათე ტურში დაუზავდა დიულა საქსს (უნგრეთი) და 8,5 ქულა მოაგროვა. ამ ტურში ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე ჰიარტარსონი (ისლანდია) — ივანჩუკი, კორჩნოი (შვეიცარია) — აგდესტეინი (ნორვეგია). ლუბოევიჩმა (იუგოსლავია) მოუგო პიკეტს (ჰოლანდია). კასპაროვს 1,5 ქულით ჩამორჩება კორჩნოი, საქსს 5 ქულა აქვს, ჰიარტარსონს და ლუბოევიჩს — 4,5-4,5, აგდესტეინსა და ივანჩუკს — 4-4, პიკეტს — 2,5.

● კალათბურთი

კვლავ მარცხი

უმაღლესი ლიგის გუნდების წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში სპეციალისტებს უჭირთ ფავორიტთა დასახელება. საქმე ის არის, რომ ქვეყნის წამყვანი გუნდების რამდენიმე უძლიერესი კალათბურთელი ახლა უცხოეთში თამაშობს და ძალთა თანაფარდობაზე ზუსტ პასუხს უშუალოდ ჩემპიონატი გაგვცემს. ქართული კალათბურთის გულშემატკივრებს, ცხადია, უწინარესად თბილისის „დინამოს" პრობლემები აღელვებთ. ჩვენი გუნდი დატოვეს გამოცდილმა კალათბურთელებმა — ტარაკანოვმა, ტიუნინმა და ბოროდაჩოვმა, ახალგაზრდებს კი, როგორც ჩანს, უჭირთ უმაღლეს ლიგაში ბრძოლა. მესამე ტურში დინამოელები ტალინში ადგილობრივ „კალევს" შეხვდნენ და დამარცხდნენ — 77:96 (32:43).

● ფეხბურთი

პირველი წრე — უდანაკარგოდ

გასული ოთხშაბათი ევროპის საკლუბო ტურნირების დღე იყო — გაიმართა პირველი წრის განმეორებითი შეხვედრები. ფეხბურთის გულშემატკივრებმა უკვე იციან, რომ ექვსივე საბჭოთა გუნდი შეჯიბრების მომდევნო ეტაპზე გავიდა. დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა", რომელიც ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობს, საკუთარ მოედანზე ანგარიშით 1:0 (1:0) დაამარცხა ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდი". გოლი მე-7 წუთზე გაიტანა სონმა. უხეში თამაშისათვის მოედნიდან გააძევეს „დნეპრის" კაპიტანი ტიშჩენკო და ირლანდიელთა თავდამსხმელი მაკეუნი. მოსკოვის ტორპედოელებმა მეორე მატჩიც (ამჯერად სტუმრად) მოუგეს ირლანდიის „კორკ სიტის" (1:0) და აგრძელებენ თასების მფლობელთა თასისათვის ბრძოლას.

ორი ფეხბურთელი (პასულკო და სტრიომბერგი) გააძევეს მოსკოვის „სპარტაკისა" და იტალიის „ატალანტის" შეხვედრაშიც. ეს მატჩი მოსკოველთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. გოლები გაიტანეს ჩერენკოვმა და როდიონოვმა. კიევის „დინამომ" მოუგო ბუდაპეშტის მტკ-ს — 2:1, დანიის „ნესტვედისა" და ლენინგრადის „ზენიტის" მატჩი კი ფრედ დამთავრდა. დაძაბული გამოდგა შვედეთის „გეტებორგისა" და ვილნიუსის „ჟალგირისის" შეხვედრა. მართალია, ამჯერად შვედმა ფეხბურთელებმა იმარჯვეს — 1:0, მაგრამ პირველი შეხვედრა „ჟალგირისმა" ანგარიშით 2:0 მოიგო.

მეანაბრეთა საყურადღებოდ!

ამა წლის 8-დან 14 ოქტომბრამდე ქ. თბილისის კიროვის რაიონის უსინათლოთა საზოგადოების კულტურის სახლში გაიმართება ავტომობილის მოგებიანი ანაბრის მესამე გათამაშების ტირაჟი, სადაც გათამაშდება ყოველ 800 მეანაბრეზე „ჟიგულის" მარკის „ვაზ-21063" ერთი ავტომანქანა.

თუ თქვენ მობრძანდებით და დაესწრებით გათამაშებას, საკუთარი თვალით ნახავთ ბედნიერ მეანაბრეთა გაღიმებულ სახეებს.

მისამართი: რუსთაველის გამზირი, № 20. II სართული.

გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სსრ შემნახველი ბანკის გამგეობა.

გაზეთ „კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 1 ოქტომბერს.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია — პარასკევი, 29 სექტემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მხატვრული ფილმი „მზე ჯიბეში". 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.20 — ლიტერატურული გადაცემა „ჩემი ვეფხისტყაოსანი". 18.10 — მოსწავლეთათვის „მოდით ერთად ვიფიქროთ". 18.55 — განცხადებები. 19.00 — ხალხური შემოქმედება. „თუ კაცი გონიერია". 19.20 — ენათმეცნიერების ინსტიტუტში. 20.00 — მოამბე. 20.45 — „სრულიად საქართველოს სატელევიზიო მოხსენებითი ბარათი". 21.45 — ჩვენი პრემიერა — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მერი" (საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები). 22.00 — „ვრემია". 22.40 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია". მეექვსე და მეშვიდე სერია. 0.55 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. „კალევი" (ტალინი) — „დინამო" (თბილისი).

მეორე პროგრამა. 16.05 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია". მეოთხე სერია. 17.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან". 18.05 — სამეცნიერო პოპულარული ფილმი „ყველაზე მძიმე ბარიერი"?. 18.55 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დაბინდული სიჭაბუკის გარიჟრაჟზე". 20.00 — მოამბე. 20.45 — დოკუმენტური ფილმი „ჩემი ცხოვრების ვარსკვლავური წუთები".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — ადამიანის ინსტიტუტი. 10.35 — მულტფილმი. 10.55 — მხატვრული ფილმი „სარკე გმირისათვის". I და II სერია. 13.10 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 16.35 — ტელეფილმი. 17.25 — „ბავშვებს მხეცების შესახებ". 17.55 — კონცერტი. 18.35 — ფილმი — ბავშვებს. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — რა გადაწყვიტა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა. 20.30 — კინოპანორამა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „ეს იყო... იყო". 23.00 — „თვალსაზრისი".

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — ისტორია. V კლასი. 10.05 და 11.05 — ინგლისური ენა. 11.35 — ლიტერატურა. VI კლასი. 12.05 — ახალი ამბები. 13.10 — დოკუმენტური ფილმი „ჩვენ და მე". 13.30 — რიტმული ტანვარჯიში. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — „დაუვიწყარი მუსიკალური საღამოები". ბეთჰოვენი. № 7 სიმფონია ლა მაჟორი. 18.50 — პროპაგანდისტის დღის გამო. „მონოლოგიდან დიალოგისაკენ". 19.20 — კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნახევარფინალი. 20.05 — ტელეხიდი. მოსკოვი — კოპენჰაგენი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — სსრკ უმაღლესი საბჭოს სესია.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უი 07204 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14